



# ნოჯისური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,  
მძინარეც ამას ვდუდუნებ  
ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი № 26

დ. ვ. ი. ნ. ბ. ი. ს. თ. ვ. ე. 2012

## სიმართლის გამარჯვებასა მთაზე არნივი ჰყიოდეს!



\*\*\*

სიმართლის გამარჯვებასა  
მთაზე არნივი ჰყიოდეს!  
მეც მას ბანს ვეუბნებოდე,  
გული აღარა მტკიოდეს...

ვაჟა.



\*\*\*

ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე,  
ბნელში მსხდომთ კვლავაც  
ავუნთოთ კვარი  
და მიგვიძლოდეს ეკლიან გზაზე  
წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი.

ზვიადი.

### საქართველოს მტკიებს — სიკვდილი!

ამ შემოსეულ კალიებს  
ვერ მოვურჩებით უფნებოდ,  
რას ეძებთ საქართველოში,  
თქვე ჯილაგმინგრეულებო?  
დედითქვენი დაკარგეთ,  
თუ მამითქვენი ვალს ეძებთ,  
აღარ თუ ელით ქართლშია,  
ხელაშვილებს და არსენებს!  
საჯდომში გინდათ მარგილი  
ტანჯვით სულამომხანთველი,  
სად არის-მეთქი ადგილი  
საქართველოში ქართველის?!  
შინაურსა თუ გარეულს  
ბევრჯერ ვუმსხვრით სახსრები,  
პაი დედასა, ქართველო!  
ველარ დასხლიტე სახსლეტი!  
არ დაუზავდე სიცოცხლეს  
წინაპართაგან დაწყვედილს,  
ეგ ჯადო ამოციხონე!  
დაიწყე! თუ ხარ დამწყები!  
დაგვანოქეს და შემოგვკრეს,  
გარეთ ვიცინით, შინ ვსტირით,  
სიკვდილი საქართველოს მტრებს!!!  
საქართველოს მტრებს სიკვდილი!!!

გოჩა ხარანაული

### (ოლონდ საქართველო) გაღვარეს!

არაფერს დავეძებ, არაფერს ვინატრებ  
ამქვეყნად სხვა რამეს დანარჩენს, —  
ოლონდ საქართველო, ოლონდ  
ქართველობა,

ოლონდ ეროვნება გადარჩეს!  
მტერი შორს არ არის, მტერი ახლოსაა, —  
ვინც გვისპობს მამულს და ხარხარებს...  
ვინც მოდის სიცრუით, სიყალბით,  
ვინც ერში შულღ-მტრობას აჩალებს, —  
როდემდე ვუთმინოთ, — როდემდე  
ვემონოთ, —  
ქვეყნის დამამხოველ ყაჩაღებს?..  
არაფერს მოვითხოვ, არაფერს ვისურვებ  
ამქვეყნად სხვა რამეს დანარჩენს, —  
ოლონდ მათხარი, ოლონდ სისხლისმსმელი  
ვერ აცდეს უმკაცრეს განაჩენს!  
ბევრჯერ გაცრუებულს, ბევრჯერ  
გაცურებულს, —  
იმედი თან ახლავს არჩევნებს, —  
ოლონდ შენ ივარგე, ოლონდ შენ  
იბრძოლე, —

მტერს შენი სიმტკიცე აჩვენე, —  
ხსნა უნდა გაყიდულ აფხაზეთს, —  
იქით სამაჩაბლოს სანახებს...  
მას, ვინც საქართველო ასე დააქცია, —  
ან მაინც საჯიჯგნად არ შერჩეს.  
უომოდ, უთოფოდ, უსისხლოდ, —  
კალმითაც აკაფე, აჩეხე!  
არაფერს დავეძებ, არაფერს ვინატრებ  
ამქვეყნად სხვა რამეს დანარჩენს, —  
ოლონდ საქართველო, ოლონდ  
ქართველობა  
ვაქართველთაგან გადარჩეს!  
ამიტომ ხმა მივცეთ, ამიტომ ხმა მივცეთ,  
მამულის ერთგულებს, ვინც ნდობას  
ამართლებს!  
და არა — ორპირებს და არა ნაცკავშირს  
და არა ავაზაკ ჯალათებს!  
რინოს კვარაცხელია.



### დიღუბით გველოთ, მრავალქაშიმკ!


ექსპრომტად ბატონ ბიძინა  
ივანიშვილისადმი

ბატონ ბიძინას, მის მეუფებას, —  
ლექსად შექების შევთხოვ უფლებას.  
კრული ანწყო თუ ვერ შეძლებს ამას,  
თქვენ დაგიფასებთ ამაგს მერმისი, —  
ქართული ჯიშის, ქართული სულის,  
ქართული სიბრძნის გადარჩენისთვის.  
სული ჩაუდგით უძველეს ტაძრებს,  
ყველგან კამკაშებს მზისებრ კანდელი,  
საქართველოსთვის, უფლის რწმენისთვის  
ურყევად დგახართ, ვით ციტადელი.  
ხალხში გასული ცოცხალ ლეგენდად,  
სულით რაინდი და სიტყვით მჭევრი, —  
ქართულ ტაძრებში ჩვენში და ყველგან  
თქვენზე ლოცულობს ერი და ბერი.  
მოხვედით, მამულს რომ აარიდოთ  
ჭირი მრისხანე ტანჯვა-წამების;  
მოვლენილი ხართ ღვთისგან მესიად,  
გამოგყოლიათ მადლი სამების.  
რომ შავბნელ ანწყოს გაავლოთ მუსრი,  
ცისკრით შესცვალოთ უფშური მწუხრის.  
გვწამს გამარჯვებულ ქართულ ოცნებას,  
მოჰყვება ქვეყნის გაცისკროვნება.  
მთას უხარია, ბარს უხარია,  
სხვა ფერი დაჰკრავს იმერ-ამიერს,  
სამშობლოს ბედი თქვენ გაბარიათ,  
დიდებით გველოთ, მრავალქაშიმკ!  
რინოს კვარაცხელია.  
18.10.2012წ.



\*\*\*

მოვიდა დიდ ხნის სანატრელი,  
დედავ, ამბავი:  
ჩვენი მამული საყვარელი გაღვიძებულა!  
მთელი კავკასი, თვის შვილებით,  
ვითა ზღვა შავი,  
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით  
აღელვებულა...  
ილია.



\*\*\*

ნილხვედრ სიკვდილს თუ ვუმზერდე ავად,  
მაშინ ნამუსის ქუდი გავთელიო,  
ჩემი სამშობლო ზეცაა თავად,  
შემდეგ ეს მინა და საქართველო!  
მერაბი.

### 80ლგე დღია

სისხლით მორწყულ ქართულ მიწას  
ისევ სისხლის წვიმა ელის,  
მტერმა ბევრჯერ დაამინა,  
ბევრჯერ აღსდგა რისხვა მტერის.  
ამ უბადლო მდინარეებს,  
ამ უსაზღვრო ზღვას,  
ცისფერი არ ღირსებია,  
მხოლოდ სისხლი რწყავს,  
ვაი, ჩემო საქართველოვ,  
შენ არ ჰგვეხარ სხვას;  
პატარაო? რის პატარა?  
ვინ გაბედავ თქმას?  
მიტომ ღმერთის რჩეული ხარ,  
ღმერთი გაჩნდა შენით,  
თუ არ ღმერთი, ვის შეეძლო  
შობა შოთას ენის?!  
უქარქაშო ხმალო აღსდექ,  
მოძრაობა გშვენის,  
შენ არა ხარ იმ რჯულისა,  
ემინია ვისაც მტერის.  
რა პატარა, რის პატარა,  
რა ვუყოთ, რომ დიდი გვებრძვის,  
დიდი არა ბევრი მხოლოდ —  
შენი ფეხის მტვერი,  
უკან გვიდგას ფარულ ლალატს  
მიჩვეული ერი,  
ვაგლახ, მტერიც რომ არა გყავს  
შენი შესაფერი.  
ნეტავ იმ დროს, დიდგორიანს,  
შამქორიანს და ბასიანს,  
მილიონი რომ გვებრძოდა  
და უკრთოდა შენს ასიანს,  
შენი ზურგი არ უნახავს

სულთანს შაჰს და ბიზანტიას,  
გაიღვიძე, თორემ დროა,  
ყველაფერი გვიანია,  
გკლავდნენ ზღაპრულ დევის მსგავსად,  
თავს გჭრიდნენ და თავს ფარავდი,  
დიდი რომ არ ყოფილიყავ,  
დევი რომ არ ყოფილიყავ,  
რას იზამდი?

ერის სულო, გეძებ, მეძებ,  
ო, რა იშვიათად მხვდები,  
ექვსჯერ ათი წელიწადი  
უმინაწყოდ ვცდებით;  
ვიდრე დროა, სანამ დროა,  
ვიდრე დროა, სანამ ვცდებით,  
სანამ კიდევ გიდგათ სული,  
ადექით და გამომყევით!  
საქართველო, წყლულო ჩემო,  
ო, რარიგად მენადვლები,  
მე შენს ენას შემოგველე,  
შენს მინა-წყალს ვენაცვლები,  
საქართველო, გულო ჩემო,  
სისხლო ჩემო, ვცოცხლო შენით,  
წინაპართა ძვლების დარად  
მჯერა შენი გადარჩენის.


მუხრან მაჭავარიანი.

### მამულიშვილუკი შეგონებასი

\* ყველაფერი შეიძლება წაართვა  
პიროვნებას, ერს, მაგრამ ვერავინ შეძლებს  
თავისუფლების შეგრძნება წაართვას მას.  
\* ჩვენი ერისთვის ყველაზე სამარცხვინო  
ლაქაა ტყვის სყიდვა, რომლის ერთგვარი  
გაგრძელებაც არის დღეს შვილებისათვის  
დედაენის წართმევა და მათი მიზარება  
რუსულ (ზოგადად უცხოენოვან) სკოლებ-  
ში. ორივე მოვლენას ანგარება და კარი-  
ერიზმი უდევს საფუძვლად. თუ ძველად  
დედა-სამშობლოს სწყვეტდნენ ყმანვი-  
ლებს, დღეს სწყვეტენ დედაენას, სულს  
უსახიერებენ, ფსიქიკას უცვლიან. განა ეს  
ნაკლები ბოროტებაა?  
\* დამოუკიდებლობა ხომ ერის ზნეობის  
გადარჩენა და ამდენად, თვით ერის გად-  
არჩენაც.  
\* ნამდვილი დამოუკიდებლობის გზა,  
ჩემი აზრით, ეროვნული სულის, ეროვნული  
ხასიათის რესტავრაციით, მრავალი თვალ-  
საზრისით უკვე დაკარგული ეროვნული  
სიამაყის, ეროვნული ღირსების აღორ-  
ძინებით უნდა დაიწყოს.  
\* ჭეშმარიტი მსოფლიო მოქალაქეობა  
ეროვნული თვითშეგნების გარეშე არ  
არსებობს, ის ვინც „გაინგლისელდება“,  
„გაგერმანულდება“, „გაფრანგდება“, „გარ-  
უსდება“, „გამერიკულდება“, ვერასოდეს  
გახდება ინგლისელი, გერმანელი, ფრანგი,  
რუსი ან ამერიკელი და ქართველობასაც  
დაჰკარგავს. და თუ ქართველებად დავრჩე-  
ბით და თანაც ვეზიარებით ამ ერების  
კულტურებს, გავაფართოვებთ და გავამ-  
დიდრებთ ჩვენს სამყაროს, გავხდებით ნამ-  
დვილი მსოფლიო მოქალაქეები. ევროპული  
ინტეგრაცია ასე უნდა გავიგოთ და არა  
როგორც ეროვნული ინდივიდუალობების  
წაშლა ან გათქვევდა.  
\* ღვთისა და მამულისათვის თავგანწირ-  
ვა დღეს ერთადერთი გზაა გადარჩენისა.  
\* ნაცრად ქცეული ხე ისევე ხეს გამოად-  
გებო სასუქად. ცხოვრებამაც ასეა: კაცმა  
რომ მეორე კაცს არგოს, ხესავით უნდა  
დაინვას მისთვის და დანაცრდეს.  
\* ქართველი ქალისა და მამაკაცის სახე  
ყველაზე უკეთ ჩვენს ეროვნულ ტანსაც-  
მელში და ეროვნულ ცეკვებშია გამოხატუ-  
ლი... ის სული, რომელიც ამ ჩაცმულობით  
არის გამოხატული, უნდა აღსდგეს ქართ-  
ველ ქალში და ქართველ მამაკაცში.  
\* ერის სულის წვდომას სჭირდება, უწინ-  
არეს ყოვლისა, ალთქმის შინაგანი ორგანო,  
წმინდა ინტუიტიური ხასიათისა.  
ზვიად გამსახურდია

# პოეტი ამხელს ბოროტებას!

## ახდენილი უდიდესი ოცნება და თავლაფდასხმული „ნაცები“



ნინათქმა

ღაილოცოს მისი მაღლი, მამაზეცვიერმა ერთხელ კიდევ მოწყალე თვალთ გადმოხედა ღვთისმშობლის ნილხვედრ საქართველოს და მსხენელად მოუფლინა სწორუპოვარი ერისკაცი ბატონი ბიძინა ივანიშვილის სახით. ამ უდიდესი მამულიშვილის, შეუდარებელი ქველმოქმედისა და მეცნეატის სამშობლოსათვის ყველაზე უმძიმეს პერიოდში პოლიტიკურ არენაზე გამოჩენა ცაზე მების გავარდნას ჰგავდა. ეს რეალობა უთუოდ ავად ენიშნათ ანტიეროვნულ ნაცმოძრაობას და თავად მიშა სააკაშვილს. მათ ნინასწარ იგრძნეს მოსალოდნელი სიფათი და მხეცივით გამძვინვარდნენ.

სიმართლე უნდა ითქვას. ნაცხელისუფლება, რომელსაც უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი ქვეყნისა და ქართველი ერის წინაშე, უძლეველობის მანიაკით იყო შეპყრობილი. ეგერტოდებული ოპოზიციური პარტიები კი მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. ამ პარტიებს ისე ატრიალებდა ნაღმა-უკუღმა, როგორც თავად მოუპრინებოდა. ასე რომ საშველი თითქმის არსაიდან არ ჩანდა.

ასეთ უამს ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამ და კოალიცია „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბებამ სიმშვიდე დაუკარგა სააკაშვილის მოძალადე რეჟიმს. რადარანაირ ვერაგულ მეთოდებს არ მიმართავდნენ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. უპირველეს ქართველ მამულიშვილს საქართველოს მოქალაქეობაც კი წართვეს. ეს არ იკმარეს და თავხედურად დაუყვადეს ქართუ-ბანკი. დაუნესეს დიდძალი ჯარიმები, ამასთან დააყარაღეს ემიგრანტი ბიზნესმენების მიერ გამოგზავნილი ტელეანტენები, იმის გათვალისწინებით, რომ ოპოზიციური ტელეარხებიდან ხელისუფლების მამბილებელი ინფორმაციები ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მოსახლეობისათვის მიუწვდომელი ყოფილიყო.

გაბოროტებულმა „ნაცებმა“ ესეც არ იკმარეს და ცილისწამების ზღვარდაუდებელი ნიაღვარი ააწუხრუხეს. ისტერიულად რომავდნენ ტელეკრანებიდან ალაგდავებულ-ანკავნკავებული „ნაცები“ მინაშვილები და გაბაშვილები, ნიკლაურები და დარჩიაშვილები, ნოდები და თაქთაქიშვილები. რას არ ალაპარაკებდნენ უძვლო, ძირში წასაწყვეტ ენას თავისას ეს ცილისწამებლები. ბატონ ბიძინას უწოდებდნენ პუტინის პროექტს, საბჭოთა წარსულში დამბრუნებელს, ოლიგარქს და კრიმილანსაც კი.

ყველაფრის მიუხედავად პოლი-

ტიკური კოალიცია — „ქართული ოცნების“ ლიდერი აუმღვრევლად, განონასწორებულად განავრძობდა წინასწარჩვენო ორგანიზებულად ხალხმრავალ აქციებს საქართველოს თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულში. ბიძინა ივანიშვილის ტრიუმფალური საარჩევნო სვლის გვირგვინი გახლდათ თბილისის თავისუფლების მოედანზე არნახულად ხალხმრავალი დასკვნითი თავყრილობა, რომელმაც საბოლოოდ გადაწყვიტა არჩევნებში გამარჯვების შესაძლებლობა.

\* \* \*

მთელი წინასწარჩვენო პერიოდის მანძილზე მიშა სააკაშვილის გაცოფებამ აპოგეას მიაღწია. იგი ერთი კუთხიდან და ქალაქიდან მეორეში წამდაუნუმ დაქროდა ყითელი ავტობუსების კოლონებით. დაქირავებული ხალხით, ცეცხლის ალივით წითლად აბრიალებული პლაკატებითა და მაისურებით, ხუთჯვრიანი დროშებით, წკირებზე წამოსკუპებული ლაჟღაჟა ხუთიანების ასავსავებით. ახალგაზრდა გოგო-ბიჭების მიერ „მიშა“, „მიშას“ შეძახილებით. ტრანსპარანტებზე გამოსახული სლოგანით — „მეტი სარგებელი ხალხს!“ თუმიცა სხენებული სლოგანი უმრავლესობის თვალში ისეთივე ფარსი გახლდათ, როგორც, მათივე ადრინდელი ლოზუნგი — „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“ და „საქართველო სიღარიბის გარეშე“. ტაშით, ოვაციებით, გრი-ალ-გრიალით შემოიარეს ნაციონალებმა და თავად პრეზიდენტმა სრულიად საქართველო.

მიშა სააკაშვილის წინასწარჩვენო აქციების აკორდი გახლდათ ქალაქ ფოთის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძრის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე მცირერიცხოვანი მომხრეების თანხლებით დასწრება, სადაც მას საგალობელით მოასმენინეს გოგა ხაჩიძის ტექსტზე შექმნილი სიმღერა — „მიშა მაგარია“.

ასე ლაღად დაასრულა სააკაშვილმა წინასწარჩვენო კამპანია და თავის სიმარეში დარწმუნებული დაელოდა არჩევნების შედეგებს.

### სულის ხუთვა... ხუთიანებით

2012 წლის 1 ოქტომბრის შესანიშნავი დღე გათენდა და მეც პირჯვარი გადავისახე ლოცვით — ღმერთო, დიდებულო, ისენი ბოროტისაგან შენივე ნილხვედრი დედასაქართველო!

იმ დღეს ნაკიფუს თემის №15 საუბნო-საარჩევნო კომისიაში ვიღებდი მონაწილეობას, როგორც დამკვირვებელი. უბანში დილიდანვე შეიმწეოდა ამომრჩეველთა აქტივობა. მკაფიოდ ჩანდა, რომ წინასწარჩვენო დრო ნაცაქტივისტებს ნაყოფიერად ჰქონდათ გამოყენებული. ისინი არაფერს ერიდებოდნენ, „ნაცები“ რა თქმა უნდა, ფინანსებსაც არ იშურებდნენ ხმების შესასყიდად, ოღონდ მიზნისთვის მიეღწიათ. მიზანი კი დამნაშავე რეჟიმის შენარჩუნება იყო. თვით საარჩევნო კომისიის ნაცნევრებიც არ მალავდნენ, რომ ნაცმოძრაობა არჩევნებში მნიშვნელოვანი უპირატესობით გამარჯვებდა.

თითქოს ლოგინიდან წამოყარეს ხეიბარი ადამიანები. საარჩევნო ყუთებთან რიგში დგებოდნენ ხელჯობებზე ძლივძლივობით დაყრდნობილი, ყავარჯნიანი, ზოგიც ნამგალივით ნელში მოხრილი, ვაივავლახით

მოლასლასე ხანდაზმული კაცი და ქალი.

აი, ეს ადამიანები სოფლის თავკაცებმა, ნაცაქტივისტებმა მყარად დაარწმუნეს იმაში, რომ თუ ვერ გამარჯვებდა ნაცხელისუფლება, ისინი პენსიებს დაკარგავდნენ, ამასთან მოეხსნებოდათ ყოველგვარი დახმარება.

საარჩევნო დარბაზის კარებთან ამომრჩევლებს წინასწარ აფრთხილებდნენ, ერთად ნუ მოდიხართ, ხუთ-ხუთად შემოდითო, ესეც მინიშნება იყო იმაზე, რომ ხუთიანი შემოეხაზათ.

სალამო უამს ხმა დაიბნა: ვანო მერაბიშვილი განუდგაო პრეზიდენტს. ამის გაგონებაზე საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ყოფილ ზვიადისტს, ამუამად კი მამალ ნაციონალს გააჭანია წნევამ დაარტყა, ისე რომ ექიმის გამოძახება გახდა აუცილებელი. ნირი წაუხდათ სააკაშვილის მომხრე აქტივისტებს.

მაღე გაირკვა, რომ ეს ცნობა ჭორი იყო და „ნაცებმაც“ გული დაიმშვიდეს და დაელოდნენ არჩევნების შედეგებს. შედეგმაც არ დააყოვნა. საარჩევნო ბიულეტენების დათვლისას გაირკვა, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები ცოტანი არ ყოფილან, მაგრამ ბოლოს მაინც ხუთიანების ისეთი კასკადი წამოვიდა, რომ ლამის სულის შესუთვამდე შემძრა. იქვე ვთქვი ხმამალა: „მართლაც ყოფილხარ ფუ, — საბრალო ნაკიფუ“.

აქვე გულწრფელად ვამბობ, ნამდვილად შემეცოდა ჩემი მშობლიური სოფლის ასე დაბეჩავებული, მწარედ მოტყუებული და გაბიაბრებული მოსახლეობა, რომელსაც უკვე 9 წელია ბრმად სჯერა მიშა სააკაშვილის ანეკდოტური ტყუილებისა და არად აგდებს თავისად სამწუხაროდ უდიდესი ერისკაცის ბიძინა ივანიშვილის მიერ წარმოქმულ სიმართლეს.

ეს ხომ უბედურებაა.

### დაპირება და... შესრულება

ყველას ახსოვს, წლებანდელ გაზაფხულზე რა საშინელი სტიქიური უბედურება დაატყდა თავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეს და მათ შორის წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯს. მიშა სააკაშვილმა არ დააყოვნა და ელვის სისწრაფით ჩამოფრინდა სტიქიის ზონაში. მით უმეტეს წინასწარჩვენო მართათნი დაწყებული იყო და პრეზიდენტი ასეთ შემთხვევას პირისთვის ხელიდან არავერ გაუშვებდა.

წალენჯიხის და ობუჯის თავკაცები დიდი მაღლიერების გამოხატვით შეხვდნენ სასურველ სტუმარს და მათ შორის ყველაზე მეტად აქტიურობდა სოფლის დეპუტატი მარინე კაკაჩია. ჩვენ ყველამ ვიხილეთ ტელეკრანზე ადიდებულ მდინარის ტალღებს ხელისხელჩაკიდებული როგორი შემართებით მოაპობდნენ პრეზიდენტი და მარინე კაკაჩია. ამ უკანასკნელმა დრო იხელთა და ასე მიმართა სააკაშვილს: ბატონო პრეზიდენტო, მთელი სამეგრელო გვერდში დაგიდგებაო მომავალ არჩევნებში.

ბევრმა წალენჯიხელმა გაიკვირვა, სამეგრელოს სახელით პირობის მიცემის რა უფლება ჰქონდაო კაკაჩიას. ეს თავხედობა არისო და დიახაც ასე იყო, მაგრამ დახეთ საოცრებას. მარინე კაკაჩიას მიერ პრეზიდენტისადმი მიცემული პირობა შესრულდა.

ჩვენდა სავალალოდ სამეგრელომ რატომღაც ჩაიშრება. ეს ხომ სამწუხაროა და საკვირველიც, მაგრამ უფრო გასაკვირი ჩემი აზრით, ის გახლავთ, რომ დიდი ქართველი კლასიკოსი მწერლის ლეო ქიჩაშელის, სახელგანთქმული კინორეჟისორის ნიკოლოზ შენგელიას, სწორუპოვარი ისტორიკოსის შოთა მესხიას და სხვა სახელოვან მამულიშვილთა მშობელი, დიდი ეროვნული ტრადიციების მქონე სოფელი ობუჯი და მისი მოსახლეობა როგორ მოხდა, რომ ნაციონალ მარინე კაკაჩიას დონემდე ჩამოქვეითდა.

ეს ხომ საშინელებაა.

იგივე ითქმის წალენჯიხაზე. ახლა, როცა არჩევნების შედეგებზე ვწერ ამ წერილს, უნებურად მახსენდება კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენიდან“ სულთმობრძავი გიორგი მეფის სიტყვები: „ჩვენში მოღალატენი სჭარბობენ ერთგულებს, არა თუ სხვისი, საკუთარი თავის მოღალატენი...“ გულახდილად ვამბობ, არჩევნებში ვინც ხუთიანი შემოხაზა, ნება-უნებურად არა მხოლოდ სამშოლოს, არამედ თავისი თავის მოღალატეობაც დაამტკიცა. მით უმეტეს, როცა სამეგრელოდან კურთხევა ჰქონდა მიცემული მრევლისათვის, არ შემოეხაზათ ხუთიანი.

მე იმდენად არ მიკვირს, როგორც წალენჯიხის, ასევე სოფლების თავკაცთა თავგამოდებული მხარდაჭერა ხელისუფლებისადმი. მათ ერთხელ კიდევ ორგანიზებულად გაიბრძოლეს, როგორც სააკაშვილის, ასევე თავიანთი მოყვანალებული სკამების შესანარჩუნებლად, მაგრამ ამაოდ. ფუჭი გამოდგა ყველანაირი ბინძორი და ვერაგული მეთოდები „ქართული ოცნების“ წინააღმდეგოდ მიმართული.

იყო დრო, როცა სულმნათი ზვიად გამსახურდია ამბობდა: წალენჯიხა საქართველოს სიმბოლოდ მესახებაო. ამგვარ მაღალ შეფასებას იმდროინდელი წალენჯიხა მართლაც იმსახურებდა აქ შემოსული ბანდიტებისა და ყაჩაღების წინააღმდეგ შეურიგებული ბრძოლით.

მე არც რიკითი წალენჯიხელების მიკვირს, ვინც საინფორმაციო ვაუქუმში იმყოფებოდა და მარტოდენ ხელისუფლების ჯიბის ცრუ ტელეარხების ანაბარა იყო დარჩენილი.

მათთან შედარებით მაოცებს იმ პიროვნებათა ნამოქმედარი, ვინც სხვებზე მეტად ფილოსოფოსობენ, სხვებზე არანაკლებ ისტორიკოსობენ და ლიტერატორობენ და რა თქმა უნდა, პატრიოტობენ კიდევაც. ნუთუ ინტელიგენციის ამ საუკეთესო წარმომადგენლებმა ისეთი ტრანსფორმირება განიცადეს, რომ დღეს სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმს გუნდრუქს უკმევენ.

ფაქტის სიჯიუტე რომ არა, ძნელი დასაჯერებელია ჩემთვის, რომ შეგნებელი წალენჯიხა არჩევნებში მიშა სააკაშვილს მიემხრობოდა. სააკაშვილს, რომელიც მთელი გააფთრებით ებრძოდა ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ეროვნულ იდეებს. იმ სააკაშვილს, რომელმაც ზვიად გამსახურდიას სრულიად უდანაშაულო ვაჭი ცოტნე გამსახურდია დამნაშავეთა საპყრობილეში გამოკეტა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მან მამამისის ნემტი არ დაანება მას პიარისათვის.

გასაკვირია, წალენჯიხელთა უმრავლესობამ რის ფასად მისცა ხმა სააკაშვილის უსასტიკეს რეჟიმს, რომელმაც ღვთისმშობლის ნილხვედომილი ჩვენი ქვეყანა ლამის საკონცენტრაციო ბანაკს დაამსგავსა. აი ესაა საკითხავთა საკითხავი.

არ არის დასაძალი, წალენჯიხამ თავისი არჩევანით შეურაცხყოფა მიაცენა თვით ზვიად გამსახურდიას სახელს და ამასთან იმ რაინდ წალენჯიხელ ბიჭებს, რომლებიც ჩვენი კუთხის ასაკლებად და ასაოხრებლად ტანკების გრუხუნით შემოჯირითებულ მხედროვნელებთან და სხვა ბანდიტურ დაჯგუფებასთან ბრძოლას მსხვერპლად შეენივნენ.

### სამაგალითო დიდსულოვნება

წლებანდელი 1 ოქტომბერი ეს გახლდათ დიახაც განსაკუთრებული დღე, როცა ქართველ ხალხს ეძლეოდა შანსი თავისი მომავალი ცხოვრების ბედი თავად გადაეწყვიტა. მას თავისი სწორი არჩევანი უნდა გაეკეთებინა ბოროტებასა და სიკეთეს შორის. ამ მხრივ ოქტომბრის არჩევნებს დიდგორის ომის ტოლფასი მნიშვნელობა ჰქონდა სრულიად საქართველოს გადარჩენისთვის.

ამ არჩევნებში ქართველმა ხალხმა თავისი შემართებით მუხლჩაუხრელი ბრძოლით უდიდეს გამარჯვებას მიაღწია. პოლიტიკურმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ დიდი უპირატესობით გამარჯვდა, გამარჯვდა სრულიად საქართველომ, გამარჯვდა ქართველმა ერმა და მიშა ეროვნულმა სულის ენერგამ.

როგორც მოსალოდნელი იყო, პოლიტიკური კოალიციის ლიდერი ბატონი ბიძინა ივანიშვილი ამ უდიდეს გამარჯვებას მშვიდად და განონასწორებულად შეხვდა. მან ხმამალა განაცხადა: „ძალიან მშვიდად მიუდგეთ ყველაფერს, გასაგებია, რომ მთელ საქართველოს ზემის სურვილი აქვს დღეს. ვიზიემოთ, ვიმღეროთ, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არსად არ მოხდეს დაპირისპირება. იცოდეთ, ვინც ხუთი ნომერი შემოხაზა ისინიც ჩვენი ძმები არიან. არავინ არ დააზიანოთ, არ დაუპირისპირდე. ყველანი ერთად დადგეთ და გავამთლიანოთ ჩვენი საყვარელი სამშობლო.“

ყოველივე ეს ისეთი ღვთიური მიმტყველობაა ბიძინა ივანიშვილისაგან, რაც ნამდვილად შემძლია შევადარო სულმნათ ზვიად გამსახურდიას დიდსულოვნებას. როცა ტყვიას უშენდნენ საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ის კი ბრძანებდა: ჩვენ ყვავილები ვესროლოთო.

განა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა არ იცის, რომ ხუთიანის შემოხაზვა ტყვიანზე არანაკლებ მომაკვდინებელია ჩვენი სამშობლოსათვის, მაგრამ მან ასევე კარგად უწყის, ქართველი კაცის ოდინდელი სულიერი კრედო: „რაც მტრობას დაუზღვრე, სიყვარულს უშენებია.“

რა დიდებულად აქვს ნათქვამი ცნობილ ქართველ მწერალს და ჟურნალისტს ბატონ გიორგი გიგავრს:

„2012 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებულ ისტორიულ ბრძოლაში გამარჯვებით ქართველმა ერმა მოიპოვა უფლება, გააგრძელოს 1992 წლის 6 იანვარს ჩახერგილი გზა! დიახ, 2012

2 წლის 1 ოქტომბრის გამარჯვებით საქარველოს კვლავაც გაუჩნდა შანსი, ააშენოს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, მილიონობით ქართველი პატრიოტისათვის საოცნებო თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი და რაც მთავარია, ქართული სახელმწიფო!

ანტიქართული პუტჩი, რომელიც საქართველოში 1991 წლის 22 დეკემბერს დაიწყო, 2012 წლის 1

ოქტომბერს დასრულდა! აძალდენენ!!! გიხაროდენ!!!“

**ბოლოთქმა**

ამ წერილის დაწერა ნამდვილად არ მსიამოვნებდა, მაგრამ დაუნერლობაც არ შემეძლო, რამეთუ გული მატიკინა მშობლიურმა წაღწევიანმა, რომელმაც ხმათა უმეტესობით გაამარჯვებინა ანტიეროვნულ ხელისუფლებას. არ მეგონა, რომ წაღწევიან ასე

იოლად დასთმობდა ეროვნულ სულისკვეთებას, რომელიც მას ოდითგანვე მოსგდამდა.

ყველამ იცის, წაღწევიანში ჩემზე უფრო ჯვარცმული ადამიანი არ დაიარება, თუმცა ამჯერად შედარებით გულმოცემული და ამასთან სამშობლოს ბედ-იღბალზე კვლავ და კვლავ ძილმღვიძარეს და მჭმუნვარეს ხშირად იმაზე გავიქრებაც კი მზარავს, ჩვენეული სამშოს ერთი ჯგუფის მიხედვით, დილის ნისლივით რაფერ გაქარწყლდა ჭირსა

და ლხინში ჩვენი ერთად ყოფნის, ერთად დგომის და ბრძოლის ადრინდელი ჰეროიკა?

როგორ დავიჯერო, რომ ეს ყველაფერი მოჩვენება იყო და სხვა არაფერი.

და მაინც ყველას ვულოცავ საქართველოს, ქართველი ხალხის უდიდეს გამარჯვებას. უპირველესად იმათ, ვინც აქტიური წვლილი შეიტანა ამ საშვილიშვილო გამარჯვებაში და იმათაც, ვინც ბოროტებასა და სიკეთეს შორის სწორი არჩევანი ვერ გაა-

კეთა. ეს ქვეყანა ყველას ეკუთვნის მართალსაც და მტყუნსაც. თუმცა მტყუნს მართებს თავისი სიმტყუნე გააცნობიეროს და მხარი აუბას სიმართლეს, რომ ერთად მეგობრულად ვიცხოვროთ ამ დალოცვილ მიწაზე.

აქვე ვამბობ: ამ ჩემს წერილს ლაიტმოტივად ვინმესადმი სიტყვილი კი არ უდევს, არამედ მოძმეს პირში უძრახეს პრინციპი.

რინოს კვარაცხელია.

# რინოს კვარაცხელია:

## „სამშობლოს სახსნელად შემართეთ მახვილი!!!“

### მონსტრის ტუსალია საქართველო (სიმართლე ლექსად)

ბევრი მოსყიდული სატანას ემხრობა, — ამადაც ქვეყანა ზედ თავზე გვემხოზა. არა სჩანს მერაბი, არსად სჩანს ზვიადი, — მათი მოცილებით ჩამონვა წყვილი... მზე, მზე დააბნელეს სამშობლოს ორგულთა, — როცა ბელზებელი „მეუფედ“ მობრუნდა... ურცხვად მოვარდნენ და უკან არ მიდიან; თვით სულგაყიდული ყველაფერს ყიდიან.

მტრულად გაასხვისეს მიწაც და მდინარეც, — სიცოცხლის სანაცვლოდ სიკვდილი მივინვარებს.

სულს ემუქრებიან მთლად განადგურებით, — ქართველებს სდევნიან და მოჰყავთ ბურები.

როცა საქართველოს შავი დღე დაუდგა, — ჩვენს ბიჭებს სხვის ომში, სხვის ომში რა უნდათ? დღეს რომ საზარბაზნე ხორცადაც აქციეს, — და სისხლი ქართული სხვის მიწას აწვიმეს. მადა გახსნილი აქვთ, ეტყობათ იერში; გულმართალ ვაჟკაცებს ტანჯავენ დილეგში.

თვით გარს ახვევიათ ნარნარი ხარჭები, — ზეობენ ხტუნავენ, ვითარცა ქაჯები. „აყვავდა ქვეყანა“ „ნაცების“ ხანაში, — თავი რომ ჰგონიათ თვით ჰარამხანაში. ცოდნა იზომება მზაკერული არშინით, — როცა „განათლებას“ თავკაცობს შამკინი. კაცი ვერ კაცობს და ვერ საგნობს საგანი, — ახლა სკოლებია შამკინის საკანი... ტყუილებს აფრქვევენ ცალ-ცალკე, ჯგუფ-ჯგუფად, დიქტატორს ხატავენ დემოკრატ შუქურად.

დღისით და ღამითაც გაყიდულ მთა-ბარში, — არ წყდება სიმღერა, ცეკვა და თამაში... ტელეეკრანებზე მასხრობენ, მღერიან, ქართველს არწმუნებენ რომ ბედნიერია. სიცრუე მეუფებს, სიცრუის სერია, — თურმე ეს ცხოვრება, რა მშვენიერია... ცხოვრება მჩქეფარებს მათი თქმის მიხედვით; ჰგავს უიმედობას მათ ხელში „იმედიც“... „ნაცები“ იგებენ ომს ხალხთან ბრძოლაში, — სიცილის ჟამი აქვთ სიკვდილის ზონაში... უიღბლო მამულში გამქრალა მორალიც; თითქოს ილბლიანი ტრიალებს ბორბალი... ნაც-ბანდის მომხრენი ჰგავთ ტაკიმასხარებს, ვინც მტერს და მათხარს სულ ხოტბას ასხამენ.

ბევრს ვეღარ უცვნია მტერი და მოყვარე, — უღვთონი ზეობენ, ღვთიურნი ოხრავენ... შირმად უკიდიათ ილიას სურათი, — ჯართში ჩააბარეს ბიუსტი სულმნათის... წარსულსაც ებრძვიან, სული აქვთ წარყვნილი.

„გმირულად“ დაამხეს ქანდაკი სტალინის. სამშობლოს დამლუპველ აცხოებენ პროექტებს; აბუჩად იგდებენ მწერლებს და პოეტებს...

ახლა უზნეობა ყველაფერს ეძლევის, — ეკრანს არ შორდება მრუში და მეძავი. მტრის რისხვა არტყია ქვეყანას არშიად, — აქ კი უზნეობის არ წყდება თარჩია. თვალდათვალ რომ ყვინთავს ცხოვრების ბორანი; თავზე დაგვერანტალებს მუდმივად ყორანი... მამულის კენესაზე ვილაცა ხარხარებს, ქართველთა ვაება „ქართველებს“ ახარებს... ეს ხელისუფალნი ქართველთა ძვლებზე დგას, დაკინდა სამშობლო ღალატის შედეგად. ხალხს რომ შებრძოლებს ჟინი არ გაუჩნდეს, — რალაც სამათხოვრო უგდებენ ვაუჩერს... „ნაცების“ ვარდებმა ეკალი მოისხა, — ისე სძულთ ქართველი, ღამის სულ მოისრას.

ერთად რამ შეყარა უნდო და უწყალო, — სიკვდილსაც გვაჩვენენ უექიმ-უნამლოდ. კურნავს კი სნეულთა შადრენის ჩხრიალი, ან თხილამურებით მავანთა სრიალი?... რამდენი ყოფილა გულღრძო და ავსული, ქვეყნის ქართველია ქვეყნიდან გასული... რად სურთ საქართველო რომ ჰგავდეს სინგაპურს, — ქართველი ეძებდეს სხვის კარზე ლუკმა-პურს? სოფლად ვის ადარდებს ხალხი რა დღეშია, — ჩაის ბარდნარებში მგლებს თარეშია... თურქეთი თავისად მიიჩნევს აჭარას, სხვა ეპოტინება რაჭას და ხვანჭკარას... გულდაგულ მალავენ ამქვეყნად რაც ხდება, — როდესაც უკუსვლა წინსვლადაც სალდება. დუშმანმა მოირგო ერთგულის მანტია... ჟამი დგას უქმური ქართველთა ყლაპია... ვინც კი სინდისისგან განზე გამდგარია, — მაინც გაიძახის — „მიშა მაგარიას!“ როს გორში, ომის დროს ფორთხავდა ვაგლახად, თავისი „გმირობა“ მსოფლიოს ანახა. რატომ ვდუმთ ქართველნი, რომ ღამის გაგვთვლონ, — მონსტრის ტუსალია მთელი საქართველო... სად გაქრა სიქველე ოდით რომ მოგვსდგამდა, — ნუთუ გვსურს დარჩენა მონების მონადა?... რაინდ წინაპართა შეგვესმას ძახილი, — სამშობლოს სახსნელად შემართეთ მახვილი!!!

**გაზეთი „ილორი“ 23 მარტი, 2012 წ.**

**მისი ხელობა გაჩივშია ესკიზი პორტრეტისათვის**

როცა თავკაცის თავი ლაყვა, — სიბრიყვეც მისთვის სიამაყვა. ვინც ხარობს ხალხის ვაინაჩრობით, — დღეს თავს იწონებს თვისი ღაჩრობით. აღარ არსებობს მისთვის დილემა, — ომში წაგებაც ეზეიმება... ასე მალი-მალ ცხვირს რომ იხოცავს, — რჩეულ ჭაბუკებს რატომ გვიხოცავს. ვისაც ეგონა იყო მაგარი, — ნახა მფორთხავი და ნირნამხდარი. მასავით თავი ვის შუქია, — მისი ხელობა ბაქიბუქია...

მხოლოდ სულელი უთვლის ღირსებად, — სამშობლოს ნგრევას და გასხვისებას. გამომვლელული დაჰყავს „ნამები“ და მათს უკანალს ეთამაშება... ესაა მისი მონაპოვარი, — ამრავლა გლახა და უპოვარი. ფეხქვეშ გათელა ქართველთა ნება, — დათესა ყველგან ჭირი და სნება. მის თავზე ზენამ ზარი დარისხა, — თვის მოსვლით იწყა ნელთა აღრიცხვა... თითქოს გმირია, რკინის მკვნიტავი, — ფაქტიურად კი — ჰალსტუხმღეჭავი. ხალხნი, მტერს ნულარ ჩათვლით მოკეთედ, — გვიხსნის მარტოდენ მისი მოკვეთა.

**2011 წ.**


\* \* \*

ნაცმოდრობა ეშმას ნაშობი, — ხალხის მტერი და სისხლის გამმრობი.

\* \* \*

ტვინნაღრძობია და მეცოდება, — ვინც ქვევით ებრძვის „ქართულ ოცნებას.“

### ქვის ხანაში დაბრუნება



ზეიმი აქვთ ახლა „ნაცებს“, — ქვის სროლაში იმამაცეს... მართლაც შეძლეს ნება-ნება, — ქვის ხანაში დაბრუნება... ამხნევებენ ერთურთს ქებით, — ვინც „ოცნებას“ ებრძვის ქვევით. როს შეუდგათ წყალიც, შიშიც, — ქვევით იწყეს იერიში... როცა შემოაკლდათ ქვები, — უმალ შეაშველეს რქებიც... და ყოჩივით ეს დიდრქება, — „ვაჟკაცურად“ იმუქრება, რომ ჩაქოლავს ყველას ქვევით, — „ნაცებს“ თუ არ ეყო ხმები. საქმეც გამოჩარხულია, — მათ წინ გამოქვაბულია... ადგილი არ რჩებათ ზევით, — მამ, „ნაცებო“, გასწით ქვევით! ეს იციან ქვევით ვნებულთ და ეს იცის უკვე ყველამ, — ქვის ხანაში დაბრუნებულთ ქვაც ექნებათ თავსაყრელად.

**2012 წ.**

### მიკვირს, ქართველო...

მიკვირს, ქართველო, სასიმღეროდ ყელს რომ იღერებ, — პირიდან ენის ამოგლეჯას როს გიპირებენ...

შენ თუ არ ხედავ, რას შვრებიან, მათ ხომ იციან, — ჩვენს დედაენას უცხო ტომთა ენით გვიცვილიან. ნუთუ არა გრძნობ, რომ ჩვენს ყოფას დრაკონი ბილწავს, — რა მონდომებით ასხვისებენ ჩვენს ძირძველ მიწას. სატანა თითქოს მონამეა და ანთებს სანთელსა; ნუთუ ვერ ამჩნევ როგორ კლავენ ქართველში ქართველს?... ყველაფერს ქართულს უწმინდურად შხამით გესლავენ, — სინმინდის ნაცვლად პატივს დებენ კახა — მეძავებს... მიკვირს, ქართველო, სასიმღეროდ ყელს რომ იღერებ, — პირიდან ენის ამოგლეჯას როს გიპირებენ.

### მონები

რარიგ მომრავლდენ ჩვენში მონები, — ყოფით მონურით თავმომწონენი. ჭუჭყის მონები, კუჭის მონები, გუშინ, გუშინწინ არას მქონენი. ჯიბის მონები, ღიბის მონები, მძლავრნი ქონებით, ჩლუნგი გონებით. ისევ მონები, მონის მონები, სატანის ძმანნი, უფლის მგომბელნი, ერთმანეთისგან განუყოფელნი, — ერთია მათში მონათმფლობელი.

### „შუქურა“ შიშით შეშლილია

ვისაც ეშინია ტელეანტენების, — ჟამი დასდგომია, ჟამი გახელეების... რამეთუ სიმართლის ისე ეშინია, — უკვე შიშისაგან ღამის შემლილია. თავი შეუცვლელი მიკვირს, რად ჰგონია, — წყალი შეუდგა და იპყრობს აგონია... ვერ შევლის ბუჭტური, ხრიკი და ილეით, — გადანურულია სუყველა იმედი. „ქართული ოცნება“ თვალს ისე უბურავს, — ნისლივით გაქარწყლდა, „მძლეობამლე“ შუქურა მხოლოდ ხარჭებისთვის დარჩა საფიცარი, — ვისაც დამლად შერჩა მისი ნაკბილარი... სისხლით ქართველების ისე გამტყვრალია, — ცოდვამ უწია და ნირიც წამხდარია. მისთვის მოვარდა და მიტომც ხუთ-ხუთებდა, — მამული ექცია ნამდვილ უკუნეთად. ქართველთა მორევა ადვილი ეგონა, — ამაოდ დაშვრა და ამაოდ ეომა... დუშმანს უფემქაშა კოდორის ხეობა, — ომი მოვიგეთ, — გამართა ღრეობა. სურს დაეპატრონოს ღმერთების საბრძანეთს, — ფუჭად ჩაფრენია სისხლიან საგარძელს. ტახტის დაკარგვისა ისე ეშინია, — „შუქურა“ შიშისგან უკვე შეშლილია. „ქართული ოცნების“ დაქოლავა ბორიამ, — სულს ღაფავს „ნაცების“ ეგ ბუტაფორია.

# ლამაზი, ღირსსასსოვნარი იუბილე



სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ: სალამოს წამყვანი ქალბატონი ნანი შამუგია, მწერალი თამაზ ფიფია, პოეტი რინოს კვარაცხელია. 27 ივლისი, 2012 წ.

მომდინარე წლის 27 ივლისს, წალენჯიხის ნიკოლოზ შენგელაიას სახელობის კინოთეატრის დარბაზში ჩატარდა მწერლისა და პოეტის, ბატონ თამაზ ფიფიას 70 წლისთავის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ იუბილარის მეგობრები, ახლობლები, მუნიციპალიტეტის გამგეობის წევრები, საზოგადოების წარმომადგენ-

ლები, მონვეული სტუმრები. იუბილარის შემოქმედება ვრცლად და საინტერესოდ მიმოიხილა პოეტმა რინოს კვარაცხელიამ, რომელმაც მოხსენების დასასრულს წაიკითხა ბატონი თამაზისადმი მიძღვნილი მოსაფერებელი ლექსი მეგრულ ენაზე: „გომორძვებედა!“ საღამოს წამყვანმა ქალბატონმა ნანი შამუგიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თა-

მაზ ფიფიას შემოქმედების უმთავრესი თემაა საქართველო, რომ მას შექმნილი აქვს მხატვრულ-დოკუმენტური რომანი „დევილები“, სადაც გადმოცემულია საქართველოს უდიდესი ტრაგედია, რაც აფხაზეთში მოხდა.

წალენჯიხის მკვიდრმა, ნიჭიერმა ახალგაზრდამ ნიკა ღვინჯილიამ წაიკითხა ნაწყვეტი რომანიდან „დევილები“.

ლონისძიებმა საინტერესო მოგონებებით გააღამაზა იუბილარის სიყრმის მეგობარმა, ბატონმა ვალერი ჭანტურია.

პოეტის ლექსები წაიკითხეს ნიჭიერმა ახალგაზრდებმა: მაგდა შანავამ, მარიამ და მართა მესხიებმა, ვახტანგ ჭანტურია.

თამაზ ფიფიას განსაკუთრებულ ადამიანურ თვისებებზე ისაუბრა მისმა სიყრმის მეგობარმა, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორმა, ბატონმა კოტე ჩიქობავამ.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა წალენჯიხის რაიონის ყოფილი პრეფექტი, ამჟამად გერმანიაში მცხოვრები ბატონი ზურაბ გურჯია.

საკუთარი ლექსი წაიკითხა მშვენიერმა პოეტმა ქალბატონმა ლიანა ანთიამ.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ლიტერატურული გაზეთის „ნოჯიხურის“ რედაქტორი ვალერი ძაძამია, რომელმაც წაიკითხა იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსი „იცოცხლე მრავალჟამიერ!“

იუბილარს ასევე მიესალმა და მცირე საჩუქარი გადასცა ქალბატონმა მანანა გაბელიამ.

სიტყვით გამოვიდა სრულიად უდანაშა-

ულოდ დახვრეტილი არქიტექტორის გორაჯიქიას დედა ქალბატონი თამარ შერაზაღვილი.

ასევე საიუბილეო თარიღი მიულოცეს და შემოქმედის საზოგადოებრივ საქმიანობაზე ისაუბრეს: მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ედემ კვიციანი, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ზურაბ კვარაცხელიამ, აკადემია „აიას“ პრეზიდენტმა მამანტი ძაძამიამ, ცენტრალური ბიბლიოთეკის გამგემ ნუნუ შანავამ, კანონიერებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლას შენეულნი, ორი დიდი ვაჟკაცის, გია და გორა ესებუების დამ ია ესებუამ, პოეტმა ედემ ღვინჯილიამ, ნიჭიერმა ახალგაზრდამ მამუკა გაბელიამ, სახალხო მთქმელმა ბოჩია კოკიამ, ადგილზე ლექსებით გამოვიდა ფახულანის მკვიდრი ანატოლ შონია.

შემოქმედებით საღამოს ესწრებოდნენ გია და გორა ესებუების დედ-მამა, ბატონი სერგო და ქალბატონი მერი ჩაგუნავა-ესებუა.

საინტერესო ღონისძიების დასასრულს იუბილარმა მადლობა მოახსენა დამსწრე საზოგადოებას მისი ღვაწლის დიდი დაფასებისათვის.

საღამო მუსიკალურად გააფორმა წალენჯიხის რაიონულმა ანსამბლმა „ბედი-ნერამ“ (ხელმძღვანელი მურთაზ ციმიცია).

ვალერი ძაძამია.



თამაზ ფიფია ქველმოქმედ გულიკო ხარჩილავასთან ერთად.



სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ: მწერალი და პოეტი თამაზ ფიფია, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე ზურაბ კვარაცხელია, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ედემ კვიციანია.

## გომორძვებედა!

თამაზ ფიფიაში მაფერაფალი ლერსი

სუმონერძოვითი წანერი რეთ, — მარა ახალო გემიძირეთ. რხვამანქ ჩქემი თამაზ შური დო გურით, — სქვამი რეთ საქმეთ, ჯიში დო რჯულით. ტყუანც აკილენთ, მართალც გინარეთ, — არძო გურმართალი კოჩიში ჯიმა რეთ. ტებუ გურც გიხვამა, ნიჭის, რჩქინას, — პატის ცენთ მუშაში დენაჩინას... ლერსო უბირთ ჩქენი დიდი გრანელს, — ლერსიში ხვითოს, შურიხვამელს. ხანტილი ზიტყვა რე თქვანი საქვარი, ბრელგუ მოლალო, ნტერმო — ლახვარი... ლერსით მიქოკო დგონჯარუას, — შხვას ეკაჭიშე თქვანდა ქარუათ... თენა ლორონთუშე გილუ ქყოლოფა, — წინგო გინაშქვე ქიჯანაში ქოროფა... ჯგერ კოც ჯგერი კოჩიში მალე ნახვამა, — ჰამო ზიტყვათ სქედ გურიში ლახალა... თქვანი ბაბუჯოფედ ცქვაფილი ხარაზი, ზიტყვა უჭკვრუნდ მუჭოთ ალმასი, თქვა ლორონთქ განდეს ლერსით კარკაზი, — მოგვარემც გვარიში მასქვამებელო, მაქალეში გურიში მაჰამებელო, წენდისაში დუდიში მანონაფალო გომორძვებედა ირო თამაზი!

რინოს კვარაცხელია. 27 ივლისი, 2012 წ.

## იცოცხლე მრავალჟამიერ!

თამაზ ფიფიას

რვა ივლისს შენ უკვე გასცდი 70-ის კარიბჭეს, მილოცვა გულმხურვალედ სურთ სიყრმის მეგობრებს, ძმა-ბიჭებს; გული კი ამ ზღვა სიყვარულს განა გაუშვებს, — დაიჭერს, ეს იუბილე ლამაზი მეტ შემართებას განიჭებს! სულ გადარდებდა სამშობლო და მისი ტანჯული ერი, მართალი შემოქმედი ხარ, მინიერ-სულზეციერი, გამოირჩევი სიკეთით, სიქველით, გულისხმიერით, კოლხური შემართებით და კოლხური სულით ძლიერით! სიმართლით დაგილაშქრია მწერალს რამდენი სიმაღლე, მრავალჯერ ეშმას სათრგუნად საოცრად ხმა აიმაღლე, შენი მართალი აზრებით ბრმებს თვალით ჩაუდგათ სინათლე, ასაღები გაქვს შემოქმედს

კვლავ ბევრი ციხე-სიმაგრე!  
ამხილე ვაიქართველთა  
საქმენი გულშემზარავი,  
ნათელი რწმენით დაჯაბნე  
ბნელი, უკუნი, წკვარამი...  
შენ გაუქარვე ქართველებს  
მართალი სიტყვით ვარამი,  
ვიცი, რომ არ გაჩერდება  
ხვალაც ეგ შენი კალამი!  
ხნის ვინრო გზაზე ცვედანთა  
გესლმა სივრცენი დანისლა,  
რომელთაც კვლავ ეხერხებათ  
ლაღაღით ჩარტყმა დანისა;  
არ გშორდებოდა ტკივილი  
შენი მთისა და ბარისა,  
მოჩვენებითმა სიმშვიდემ  
დღესაც ვერ გაგახალისა!  
გახასიათებს კოლხური  
შემართება და ზნეობა,  
რომ ვედარ იტან ურჯუკთა,  
ზნედაცემულთა ზეობას,  
კვლავ ებრძვი დაულაღავად  
განჯგონებულთა მეობას,  
მაოცებს შენი ასეთი  
შემართება და მხნეობა!  
ამ უსამართლო ხანაში

კვლავაც მძებნელო სიმართლის,  
წკვარამებს არ ეპუები,  
მიჩვეული ხარ სინათლეს,  
ნისლის ქაოსი შეწყდება,  
გჯერა სულ მალე ინათებს,  
სიცრუე დიდხანს ვერ გასტანს,  
უძლეველია სიმართლე!  
შენ ახლაც ურჩევ მოყვარეს:  
სწორად ფიქრობდეს, აზრობდეს,  
სისხლს დავღვრი მაშულისათვის! —  
ძილშიაც ამას ამბობდეს,  
გულს ლალატი არ გაივლოს,  
შავ ხლართებს აღარ აქსოვდეს,  
მრავალჭირნახულ ქვეყანას  
არ ივინყებდეს, ახსოვდეს,  
ბნელს შუქი რომ მოერევა —  
ეგრე იქნება ამიერ,  
გულს მომშვება მაშინვე,  
როს გავიფიქრებ წამიერ;  
შენი ნააზრი წაეცხოს  
მალამოდ იმერ-ამიერს,  
დიდხანს მებრძოლი მენახე,  
იცოცხლე მრავალჟამიერ!

ვალერი ძაძამია, 27 ივლისი, 2012 წ.

# პოეზია

## თამაზ ფიფია



მეგობრული შარჟი ილია ძაძამიასი

### ეპიგრამ-გამოცანები

(წარმოსახვის გასაუმჯობესებლად)

#### 1. ადლაბიჯა

ყბედი, ფლიდი ადლაბიჯა —  
 აყლაყუდა და ტროყია,  
 მხნედ ჩვენს შორის დაბიჯებს,  
 მადა — ნდომით უოკია.  
 ყბედობით ბევრს მიაღწია —  
 იფერებდა მართლის იერს,  
 თითქოს კიდევ იარნივა,  
 თითქოს ჰგავდა გულისხმიერს.  
 მაგრამ მუდამ თვალთმაქცობდა,  
 ზეკაცობას დანანატრი,  
 ჩაიდინა ბევრი ცოდვა,  
 სატანური ძალის ხათრიით.  
 თავისუფალ ერის საქმეს  
 ვერ მოერგო სურვილთ მონა,  
 გაჰყვა გზა-კვალს მტრისგან ნაქებს,  
 შინაურთან მხნედ იომა!  
 გულბოროტი იყო რაკი,  
 (ეს სცენარი არის ძველი),  
 ცრუპენტელა „დემოკრატი“  
 გახდა ბილნი კაცის მკვლელი!

#### 2. ტრიბუნაზე ვითომ მარჯვე

გაფხორილი, გაბლენძილი,  
 ჩინმედლებით გაძქვგილი,  
 ტრიბუნაზე ვითომ მარჯვე —  
 ათიანს ზედ სიტყვას აჯენს,  
 მაგრამ არის ისე ფუყე,  
 კაცის იმიჯს ის აფუჭებს,  
 გაიკვალა გზა ლაყაფით,  
 გავიდა დიდ ალაყაფში.  
 საქმით არ ჩანს რადგან წრფელი  
 თავს ივლენს ფლიდ საქციელით,  
 თუმცა უნდა ჰგავდეს რაინდს,  
 ფუტურთა გულით მაინც.  
 როლს ასრულებს მესამრიდის,  
 სხვათა ზურგით გულმედიდი,  
 მოჰგავს ისეთ შურაცხადს,  
 ტყუილს ურცხვად რომ აცხადებს...  
 თანაც მისი ლაპარაკი,  
 მორაკრაკებს ვით არაკი,  
 აღარ დაგვრჩეს თუ გვსურს ხინჯი,  
 სჯობს ავულოთ გულის სინჯი.

#### 3. ვარდი გვიქცია ეკალად

მიდგას ისე მძიმე ხანა,  
 წამცდება ზოგჯერ ჩივილი,  
 როგორც ორღესული დანა,  
 მკერდს სერავს მძლავრი ტკივილი,  
 მაგრამ კიდევ უფრო მიჭირს

ორგულ ლიდერის ატანა,  
 მშობლიური ქვეყნის საჭეს  
 დაეპატრონა სატანა!  
 მას ძალუძს ნდომა ალაღოს —  
 რითაც მტრის გული ახარა,  
 დილა გარდაქმნა საღამოდ,  
 ქართველი გაამასხარა.  
 დემონიური უფლებით  
 ვარდიც გვიქცია ეკალად,  
 მზე-სხივი თავისუფლების  
 იმდენად გააფერმკრთალა!

#### ნათელით თავისუფლების

ჩამესმის ექო მთებისა —  
 დიადი ზარის მოწმენი,  
 ჩემს გულში შემოკრებიდან  
 მრავლად ლომგული მოძმენი.  
 შევხარით თავისუფლებას  
 სხვადასხვა კუთხის შვილები,  
 ვიცით რისი გვაქვს უფლება,  
 რითი ვართ განანზილები.  
 ზოგიერთ პრეროგატივით  
 განსაცდელშია სამშობლო,  
 ვფიქრობთ: ცრუდემოკრატები  
 სათავეს ვით მოვაშორით...  
 გალაღდნენ ნაგლეჯ-ნაძარცვით,  
 გვმტრობენ ღიად და მზაკვრულად,  
 თავხედთ სიცეცე, ხანაც კი  
 სირეგვნი ვერ დაფარულა!  
 ბევრი რამ რომ აუგია,  
 რაც გვსურს მიტომც ვერ გვეღირსა,  
 მთავარი ვერ გაუგიათ:  
 ხალხშია სიბრძნე ქვეყნისა!  
 მეც ვარ იმ ხალხის ნაწილი,  
 — ერის დიდების მზრახველი,  
 ცხოვრებამ ვით გამანზილოს  
 სულით ნამდვილი ქართველი!  
 უფალს ვთხოვ ქვეყნად მამყოფა  
 გულმართალ მხედარ იდაღოდ,  
 მინა-წყლის მზრუნველ პატრონად  
 რათა ან მაინც ვივარგო...  
 ღვიძლი მემკვიდრის უფლებით  
 შვილთ ერთგულება ვინატრო,  
 ნათელით თავისუფლების  
 დავლახვრო მამულს ვინცა მტრობს!  
 ფთილებით მცირე ღრუბელთა  
 მზის სხივი ვერ დაბინდდება,  
 ან ვდგავართ ისეთ ზღურბლზედა —  
 მწამს საქართველოს დიდება!

#### ზოგიერთებს

სამშობლო ქვეყნის მდგომარეობით  
 როცა ჩვენ ვწუხდით და თქვენ ღრეობდით,  
 გულში მას შემდეგ იარებია —  
 ეჰ, საქართველო არ გყვარებიათ!  
 ყველას გვმოდღვრავდით: დემოკრატია  
 თავისუფლებით აღარ მყარდება,  
 იმპერიაში შფოთი რაკია,  
 ბევრი რამ აწი თვით მოგვარდება!  
 სხვა რამ კი იყო თქვენი წუხილი —  
 ვერ შეეგუეთ წრფელ, სწორ ცვლილებებს,  
 ვერ შეისმინეთ ზეცის ქუხილი,  
 თავზე სხვის დასმა ისევ ინებეთ!  
 ველარ ამჩნევდით ცრემლით დანამულ  
 დედების სევდას... უცხოთმიერი  
 მოიმედობით ახლაც მტრობთ მამულს  
 და თან ჭკვიანის გამოსავთ იერი!

2007

#### აქ როა მთები მსგავსი სად არის?!

სულ მახსოვს ტკბილი დედულეთი, —  
 ტურფა გურია —  
 ყოფნა უმისოდ, ცისქვეშეთში, უამურია,  
 სერებს, ველ-მინდვრებს თვალმახარა  
 ამკობს ბაღნარი,  
 აქ როა მთები, საცივ-წყარო, მსგავსი  
 სად არის?!

დღე ცა ეხსნება დიდ სურვილებს  
 გოგო ბიჭების,  
 ღამე კი ტრფობის კრიმანჭულის სოლო  
 ითქმების.  
 სიცოცხლის გულმხნე სიყვარული  
 შემბყრობს ისე,  
 მსურს ჩემს გურიას, უკვე ხვალ-ზეგ,  
 ვენვიო ისევ!  
 2007.

#### მომღიმარ ორგულს ვერ ვიტან

რადგან ამქვეყნად მხოლოდ ისინი  
 მძულან, სამშობლოს რომ ღალატობენ,  
 შინამტრის უნდობ გველურ სისინის  
 მოსმენას მიჯობს სულ სიმარტოვე.  
 მომხდურს შევუნდობ, მაგრამ მოყვარე  
 სახით მომღიმარ ორგულს ვერ ვიტან,  
 ველარ ვიქნები მე გულმონყალე —  
 მოლაღატეთა მოჩანს „ელიტა“.  
 ერი, ერთბაშად ხმა რომ გაკმინდა,  
 ზედ საბურთაო გახდა ბალახი?  
 ნუთუ ერთგულიც ისე დაკნინდა  
 ველარც კი არკვევს რაა ღალატი?!

2009

\* \* \*

უსაზღვრო ფიქრი მოფარფატა  
 და ზოგჯერ ზუსტი დასკვნაც არ იცდის,  
 ჩვენში რომ ბევრი მოლაღატა,  
 მე კი არადა ქვეყანამ იცის.  
 აღარ თავდება მათი გნისი,  
 ინტერვიუ და კომენტარები,  
 სათქმელად რომ აქეთ გზა ილიასი,  
 უჭირავთ ეშმას დროშის ტარები!

2011

#### სამშობლოს უხდება ვაჟკაცთ თავგანწირვა!

ფართო ნაფეხური დარჩათ ამ მხარეში,  
 ო... რა ვაჟკაცები ჩანენ სამარეში!  
 ბრწყინვალე ღირსების რა  
 გზაც ვაუვლიათ,  
 ვაგლახ, ის ნათელი ახლა წარსულია.  
 როცა წინ აღუდგენენ მომხდურთ  
 ბოროტ ნებას,  
 ბიჭები იქცნენ მწარე მოგონებად,  
 მაგრამ განასროლი მტრის გულს ამჩნევია,  
 დედას, მათი სახით, გმირნი გასჩენია.  
 ამ დროშიც არ გასდის ყავლი შემართებას,  
 უცოდველთ ხსოვნასთან ვის  
 რა ემართლება?!  
 ბრძოლაში დაცემულს ღმერთი  
 არ გასწირავს,  
 სამშობლოს უხდება ვაჟკაცთ  
 თავგანწირვა!  
 2008 წ.

#### ეს საუკუნეც წარმოშობს გმირებს!

საქართველოში, ჩვენ ძველთაგანვე,  
 მარად სახელ-გვარ დალოცვილები,  
 დიდ საქმეთ გამო რომ ვეთაყვანეთ,  
 ისეთნი მრავლად გვყავდნენ გმირები!  
 გმირ ქართველთ სიბრძნით  
 და ვაჟკაცობით  
 დღესაც ისე ვართ მოხიბლულები,  
 იმ შემართების კვლავაც გავრცობით  
 გვსურს დავიამოთ მწვავე წყლულები.  
 გმირნი წინსვლის გზას კვალავენ უკეთ —  
 ახლაც გვაშორეს მწითურ ვამპირებს,  
 საქართველოში, ცხადია უკვე,  
 ეს საუკუნეც წარმოშობს გმირებს!  
 X. 2012 წ.

#### შეკითხვები ჩვენებურთ

რათა ვაჟკაცურ ბედნიერებას  
 აენტო ჩვენი წრფელი გულები,  
 საუკუნენი გვკრავდნენ დიდ ერად —  
 გვანთობდნენ ნატვრით თავისუფლების!  
 მედგარ გენს, უზღვრო ნიჭსა და ნიათს,  
 შნოს და მარიფათს როკვა-სიმღერის,  
 სათნო, ჩინებულ ქართულ ხასიათს  
 ბეჭედად ესვა დამლა დიდების!  
 სვიანნი, როგორც ბრძენი თავადნი,  
 არ ვგავდით ვინმე ხიხო გიგუებს,  
 ახლა როს ვგახდით თავისთავადნი,  
 უფლის წყალობა რად ვერ ვიგუეთ?!  
 ასე რად მძლავრობს ორგულთა ჯგუფი,  
 სამშობლოს გრძნობამ რად ვერ იალა,  
 ერთ სულ და ერთ ხორც რად  
 ვერ შევჯუფდით,  
 რად ვერ ვიგრძენით ერთობის ძალა?!  
 ქართველთ აღმავალ სწორ შარას ავცდით,  
 უცხოთა შორის თავი გვევლია...  
 ნუთუ ჩვენ ისე ვავითოთკაცდით  
 ერთად მამული არც კი გვექონია?!

2010

#### სტროფებიდან:

\* \* \*

ცხადზე ცხადი ხომ ერთია,  
 სინამდვილე არ საშველობს:  
 საქართველო კოლხეთია,  
 კოლხეთი კი — საქართველო!

#### 10-იანი წლების დასაწყისი საქართველოში

როს ვხედავთ გულის მზეს შავად,  
 უნდა მოვუხმით მწედ ზარებს,  
 ასე რამ დააბეჩავა  
 ერი წარსულში მგზნებარე?!  
 ძელსა ვკრათ დიდი გლოვისას  
 და მთებზე ცეცხლი ავანთოთ,  
 რათა მამაცთა შორისაც  
 ქართველის გულმა ანათოს!  
 თორემ რა საოცარია:  
 დღეს აღარც ჩანან გმირები,  
 მომრავლებულნი არიან  
 ჯაბანნი, ვითომც ფრთხილები!  
 მწარე დრო-ჟამი დამდგარა,  
 ავზიანი და მწყრომარე,  
 ეშმაკ სარმა არ გვაკმარა  
 და არც დარდები მთოვარე.  
 ჩვენთვის თუ მოძმე ახლობლობს,  
 შინამტრის ვნება ვამხილოთ,  
 საფრთხეში როა სამშობლო,  
 თავგანწირვაა საჭირო!

2011 წ.

\* \* \*

აფხაზეთი არ იყოო ჩვენი, —  
 ამბობს ზოგი რეგენი და არამზადა,  
 საქართველო, — კუთხეებით  
 დიდად მშვენი,  
 ცრუბრალდების მოსასმენად არაა მზადა!

#### ეს ჩემი საქართველოა!

სამეგრელო და გურია —  
 თანაბრად მშობლიურია,  
 თან მუდამ მახსოვს კახეთი,  
 მესხეთი და ჯავახეთი,  
 ქართლი და რაჭა-ლეჩხუმი,  
 კოლხ აფხაზთ ცხელი მზე ცხუმის,  
 სანაპირონი, ყურეთი...  
 ზღვა გრძნობით განახურები.  
 — მთიულეთი და თუშეთი,  
 ჯვრის ხევი, ფშავ-ხევსურეთი,  
 სვანეთი და იმერეთი,  
 ანარა, ტაო-კლარჯეთი,  
 ჩემ ტყუპისცალ ძმის ლაზეთი.  
 — საინგილოს მკვიდრთ ჰერეთი,  
 სანახები რამ მერეთი!\*  
 გულს მითბობს ფერეიდანიც,  
 სად ქართველთ კვერეს მიზანი,  
 არ ყოფილიყვნენ ხიზანნი!  
 ღვიძლ ძმების სამფლობელოა!  
 გმირ შვილთა სამბრძანებლოა!  
 ზღვა-ველი, მთა და მდელია —  
 ეს ჩემი საქართველოა!

2012 წ.

\* საოცრად კარგი!

# მოსწავლის შემოქმედება



ანანა მეზონია დაიბადა 1995 წლის 7 ივნისს წალენჯიხაში. სწავლობს ჩხორონყუს რაიონის სოფელ ლესიქინის №1 საჯარო სკოლის მე-11 კლასში.

საგნებიდან გამორჩეულად უყვარს ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია, უცხოენებიდან — ინგლისური. ჩხორონყუს სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულია. ცეკვავს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ოქროს სანმისში.“ გატაცებულია პოეზიით, გამორჩეულად უყვარს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება.

ჰყავს დედ-მამა — მიმოზა სიჭინავა და ბესიკ მეზონია, საყვარელი ბებია — გონა მოლაშხია.

მკითხველებს ვთავაზობთ რამოდენიმე ლექსს ანანას შემოქმედებიდან.

\* \* \*

სატრფოვ, მახსოვს, შენს თვალებში როს ციური ნამნი კრთოდნენ...  
ხოლო ბაგე და ღანვები შიშის გამო როგორ ძრწოდნენ!  
ღმერთო, მითხარ, მიჯნურთათვის რატომ ტირის მუდამ ზეცა?  
რატომ ხდება ზეციურთან მინიერის შედარება?

\* \* \*

როცა ოცნების ციდან მოდიან ეს ფანტელები თვალწარმტაცები, არ ვიცი რატომ, მაგრამ მაინც ვგრძნობ გულში ტრიალებს დიდი ნაღველი...  
რატომ იმსხვრევა ჩემი ოცნება, რად გადავეშივი მე ფიქრთა მორევს, ან რად მოჰყვება ავდარს დარი და რად მიფრინავენ მერცხლები შორეთს?..  
რისთვის მინდოდა ოცნებით ტკბობა, ნეტავ ვიცი, ვიტანჯე რისთვის? ნუთუ არ მოვა ჩემთან ის გრძობა, — გმადლობ უფალო, ამ „ნობათისთვის!“ განა ბევრს ვითხოვ? — მითხარით ხალხო, რომ უფერული მიდიან დღენი... მითხარით... შევძლებ და გავჩუმდები, დაე, თქვენ გქონდეთ ოცნება ჩემი.

\* \* \*

მე მსურდა მისთვის მიმეცა ფიცი! მისთვის მეცხოვრა ბოლოსდაბოლოს, მისთვის მიმეძღვნა მე ლექსის რითმი, მისთვის მეცოცხლა ამქვეყნად მხოლოდ! მსურს, გავეუმხილო გულწრფელი გრძობა,

მინდოდა სიტყვა და არა ფიცი! — არა, ძვირფასო, მე შენის მეტი ნამდვილად, ქვეყნად არავინ ვიცი!

\* \* \*

ნიკოლოზ, შენი შავი ბედისა ვითომ გავხდები მე მოზიარე? — მითხარი, ასე რატომ გრძნობს სული ამ სიხლოვეს, ამ სიბუნჯავს?..  
სულის სიბოლქე შენი სენია, არა, არ მჯერა სიკვდილი შენი, მე ლოცვის გარდა რა დამრჩენია, ხარ ზეციური სამყაროს მშვენი!..

\* \* \*

სიცოცხლე რატომ წავიდა? — რად გაჩნდა ეჭვის ბზარია...  
რამ შეგანუხათ ჯალათნო, თქვენთვის დამდგარა დარია!..  
თქვენი ოცნების კოშკები ცას ებჯინება, მზარდია...  
ჩემი ოცნება კი მხოლოდ პატარა ოდის ნაშთია...

\* \* \*

ოჰ, სანყალო ჩემო თავო, რისთვისა ხარ მხიარული, რატომ გიკრთის ნამი თვალში, რისთვის გალობს შენი გული?  
ალარ იცი, ეს ცხოვრება ტანჯვაა და სინანული! თუ არ იბრძვი სიმართლისთვის დაგიდგება მწედ მამული?!..

## სინდის ღიმილი

### მონანიება

ყოფილი „მხედრიონელის“ წერილი წალენჯიხელი „მხედრიონელი“ ქალბატონისადმი

დღეს ჩემს რეგვენ თავს თავად ვპატრონობ, რადგან ცოდვა მაქვს აუნონელი; გეხმანებით თქვენ ქალბატონო, როგორც ყოფილი „მხედრიონელი“...  
მე „მხედრიონის“ ვიყავი წევრი, ვისხენებ წარსულს, გულწრფელად ვტირი, ჩემს დღეში არის მერწმუნეთ, ბევრი, დღეს მე სახელად მაქვს „დეზერტირი“. ვნატრობდი: ღმერთო, გამისკდეს მიწა! (მსხვერპლი ვიყავი ხომ ბედისწერის), როცა ვხედავდი, თვითონაც ვიყავ იმ ნამუსჩამორეცხილთა წევრი!..  
ვინ გვაპატიებს ამას ნეტავი? — ბიჭები ყოველ ზღვარს გადიოდნენ; სინდისის ქენჯნა ვიგრძენ, ვხედავდი „თანამებრძოლნი“ რას სჩადიოდნენ! ასეთს იზამდნენ? — ალარ მეგონა, გამტერებული ნაღდად ვიყავი, როცა ძარცვისას ბიჭებს მიჰქონდათ, — ვით ვთქვა, მრცხვენია, — ლიფიც, ნიფხავიც... მოძმისთვის ტყვია მე არ მისვრია! — (ნუ ჩამომართმევთ თავის ქებაში); საერთოდ ხელი არ გამისვრია ალაფის არცერთ შეგროვებაში!..  
მესმოდა, ჩემგან რას მოითხოვდნენ, (მე ჩამრჩა გულში მათი „საქმენი“) — მე არ მისვრია, მაგრამ ისროდნენ

სულგაყიდული მენახენი!..  
სიმართლეს გეტყვით თქვენ, ქალბატონო, რასაც ვხედავდი, რასაც ვიგებდი, — და გადავწყვიტე, უნდა დავტოვო ქურდ-ნარკომანთა გრძელი რიგები! ვამბობ სიმართლეს: მე გვიან მივხვდი, რომ გაიყიდა ჩვენი მამული! — მივხვდი, თვით ჯაბა ფულს რისთვის მიხდის და დამეუფლა მე სინანული...  
ჩვენ გვყავდა ქურდთა „სოსანი-მამა“, (გნამდეთ, სირცხვილით მიტომ ვინცები), — არ დავაბიჯებ ქვეყნად თამამად, არც მეპყრობიან მე მოწინებით.  
მე კარგად მახსოვს პუტჩის წინაღვეც, ხალხს რომ დასდევდნენ „გმირნი“ კარდაკარ...  
მე სინდისის და ხალხის წინაშე პირმართალი და განწმენდილი ვარ! რისხვის მახვილმა დაე, წამლეკოს, თუ ოდეს ვქენი ბოროტი საქმე! —  
მე მომიტევეთ, დღეს თუ საქვეყნოდ ვერ ვალიარებ ჩემს ნამდვილ სახელს! დარდს ვერ ვიშორებ გულზე მონოლილს, რა ჩავიღინეთ ჯაბას „შვილებმა!“ —  
მისი თვისება და „ლექსიკონი“ მახსოვს: „...დახვრიტეთ გაუფრთხილებლად!..“  
ზღვა სისხლი ახრჩობს მეთაურს თვითონ...  
ხოლო ჩემს საქმეს რაც შეეხება, ახლა არა მსურს, მე რომ დამხვრიტონ, რადგან სიკეთის მსურს გაკეთება!  
არ მინდა ვიყოთ ჩვენ „ხალხის მტრები“, დროა, რომ სხვებიც ჩემებრ დაფიქრდნენ, ჩემი ყოფილი ძმა — მეგობრებიც გონს მოეგონ და... „გადეზერტირდნენ!..“

ლექსად გარდასთქვა ვ. არამისიანიძემ.

# ნიჭიერებით გამორჩეული

მიხეილ ბალირიას ძე ზარქუა დაიბადა 1906 წელს წალენჯიხაში. სწავლობდა წალენჯიხის შვიდწლიან სკოლაში, შემდეგ სწავლა გააგრძელა ხაბუშის ცხრანლიან სკოლაში.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა ნაკათის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლად, ტყიბულის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, რაიონის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის გამგედ.

1941 წელს ჩაირიცხა წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში, 1943 წელს დაიცვა დისერტაცია, რის შემდეგ დოცენტის წოდება მიენიჭა. ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად (54 წ.) მის ნაშრომებს დღემდე არ დაუკარგავთ ლიტერატურული და მეცნიერული ღირებულება.

მკითხველებს ვთავაზობთ მისი შემოქმედების მცირე ნაწილს.

## ივანე ჯავახიშვილს

მზით გამთბარია ირგვლივ ვრცელი ლურჯთვალა მთები, შენ ქუდმოხდილი, სალოცავად მზეზე გასულხარ...  
დგას საქართველო თავდახრილი, ბებერი მუხა — უმუზარადოდ, შელენილი ფასკუნჯის ფრთებით...  
ამაღლებული შენ ღალადყოფ მეშვიდე ცამდე, შესთხოვ ზენაარს საქართველოს მუზარადიანს:  
„ღმერთო ძლიერო, ჩემი ქვეყნის დუშმანს ჰრისხავდე! ღმერთო ძლიერო მფარველობდე ცოტნე დადიანს!..“  
თეთრო გიორგი, მფარველობდე ერეკლეს გორდას, დავით რექტორის ოქრო ენას, და შოთას ნათელს...  
დღეს ჩაფერფლილი ჩვენი კერა ისევ აანთე და აღადგინე დარღვეული სადგური ლომთა!..  
ირგვლივ მთებია, ლურჯთვალეა, მზიანი მთები, შენ ქუდმოხდილი გამოსულხარ ღვთისა ვედრებად, დგას საქართველო შელენილი არწივის ფრთებით, დგას ნატვრისთვალა უკაცრიელ, უღვთო ედემად...  
დუმს ყოველივე... შორს მღერინან თეთრი გედები...  
თეთრო ქურუმო! ეს ხომ შენთა ხმათა ჟღერაა, ეს ხომ მარადის თანამდევი ბედისწერაა, გადმოვლენილი სასოებით, ხვეწნით, ვედრებით...  
ჭალაროსანი ქართლის ბედის ზიარო სულო!  
შენს სითეთრეში დიდ გიორგის ნათელი მოსჩანს, შენ თვით სიბრძნე ხარ, ისტორიის მაცნედ მოსული, ჩვენი ნამუსი, ჩვენი ჯანი და ჩვენი დროშა!..

1942 წ.

## ფიქრები მცხეთის ახლოს გავლისას...

შენი სიცოცხლე მინდა, შენთან სიკვდილი მწადის, შენი მიწაა წმინდა, შენ მართალი ხარ ცამდის!  
მდინარე ფიქრად აქ სულ დუდუნებს, და არა მარტო ვეება მტკვარი...  
„ჩვენ გადავურჩით ამ საუკუნეს და მაინც ვცოცხლობთ, არა ვართ მკვდარი!“  
ქვაც კი ღალადებს შენს უკვდავ ლოცვებს, ცაში ღრუბლებიც შენზე მღერინან...  
მიწა მოუცავს უთვალავ ფესვებს, ცა სვეტიცხოვლით გაგირღვევია...

1942 წ.

# ჩვენს „ოთუთუმეს“ სასაფლავოს კიდევაც ვშვენი...

## ომარ გოჩელაშვილი

ოს მოჰკლეს! ავტომატის ჯერიდან ერთი ტყვია მოხვდა მხოლოდ... ერთი და სასიკვდილო; საძილე არტერია გაგლიჯა ულმობლად...

— გოჩა ჯიქია მოჰკლეს! მოჰკლეს! — სასონარკვეთით შემოძახილი აიზარინა ზუგდიდმა, გაიტკივილა, გაიცრემლიანა... გაცხდა საოდიშოს, სრულიად საქართველოც შემოიარა...

— ვინ მოჰკლა?! რატომ? რისთვის?! ჰკვირობდნენ, ძიობდნენ, დარდმუნხარობდნენ...

თებერვალი იდგა ავდიანი და ავდრიანი: 25 თებერვალი... ქალაქის ცენტრში, მოედანზე შეჯარულიყვნენ ზუგდიდელები, ერის მოამაგენი, ქვეყნის ბედზე მემზრუნველენი, მოტიკვილენი...

სამგლოვიაროდ მიტინგობდნენ... სამშობლოს დამოუკიდებლობის დაცვას დასტიროდნენ: 70 წლის წინანდელ შავ დღესა და ახალ უბედურებას — სამხედრო გადატრიალებით ეროვნული ხელისუფლების დამხობას უსამძიმრებდნენ ერთურთს...

ეს დღეც იმიტომ შეარჩიეს საპროტესტოდ, სამიტინგოდ, სამგლოვიაროდ... 6 იანვრისა და 25 თებერვლის ტრაგედიას ერთად ჭირისუფლობდნენ, ვაივიშობდნენ...

გვარდიელები შემოეალყნენ მომიტინგეებს, ჩამანქანებულნი, ჩასილაღებულნი... სწორედ ისინი, პრეზიდენტის დასამხობად რომ შეითქვენ რკონში, უგუნურ და უსამშობლო კიტოვანს მიემზრნენ. თანამომძებზე შემართეს იარაღი...

ხან შეანაბადაზე დაბანაკობდნენ, ხანაც თბილისის ზღვაზე, ტელევიზორებისა და ტელეკამერების ბოლოს რუსთაველზე გადმოინაცვლეს, ერის რჩეულ პრეზიდენტსა და უზენაეს საბჭოს შეუტყის იარაღით რუსულით...

ქართველებმა, უფრო და უსუსტებით კი — ვაიქართველებმა „გაიმარჯვეს“ ქართველებზე იმპერიის შეკვეთით.

მერმე გაიხანძარეს გზა, გაისისხლიანეს... ალაიანთან ჩახოცეს პრეზიდენტის მომხრე გვარდიელები, მეტწილად ზუგდიდელები; ქართლიც „გაიძოვეს“, იმერეთიც ცხენისწყალი გადისამანეს და საოდიშოს მიადგნენ...

ზეიმითა და სიყვარულით უნდა მიგვიღოთ მკვლელები, მკერდში ჩაგვიკრათ ჩვენგან დახოცილი თქვენი შვილების მაგივრად, მგლოვიარე დედებს შეუთვალეს...

დაეზეზვედნენ კიდევ, დაემუქრნენ, საოდიშოს მოვითარებებთ... შეასრულეს კიდევ დანაქადი „თენგიზას გვარდიელებმა“ და „ჯაბას მხედრონელებმა“...

ჰოდა, ოცდახუთიც სურწყუნისისა, საქართველოს გაუბედურების დღე. მგლოვიარობდნენ მომიტინგენიც...

გვარდიელებმა ავტომატები შეათამაშეს... გვესვრიან, დავიშალოთ, შესაძახა ვილაცამ.

არა, ვერ გვესვრიანო, გოჩა ჯიქიამ დაამშვიდა თანამოქალაქენი... ჰო, არა სჯეროდა არა, ზნესრულს! სხვისი სისასტიკისა არა სჯეროდა, სიბოროტისა...

გონდაზანგულმა გვარდიელებმა კი ისროლეს! ცეცხლი გადანათეს სამიტინგოს...

ვილაც დაიჭრა, შებარბაცდა... ვილაც დაეცა განგმირული... აკივლდნენ მომიტინგენი, აირივნენ, თავდასაღწევად გაილტოლენენ...

გოჩა ჯიქია არ გაქცეულა! არა სჩვეოდა მტრისათვის ზურგის ჩვენება! შეძრწუნებული იდგა დედის გვერდით; უიარალოდ, მაგრამ უშიშრად...

რატომ არ გარბისო, შებრაზიანდნენ შეზარხოშებული გვარდიელები... უშიშრობა არ აპატიეს გოჩას... თუ ვერ აპატიეს თავად მხდალებმა, სულცოდვიანებმა... ნაძარცვი ავტომანქანიდან გადმოხროვდნენ, ავტომატები დაუმიზნეს...

— ერთადერთი ბიჭი მყავს, არ მომიკლათო, შეჰკვივლა დედამ, შვილს აეფარა.

სიმწრის სიშმაგით აღშფოთდა გოჩა, თავად აღიმართა მშობლის წინ ვაჟკაცი, მკერდი მიუშვირა ტყვიას...

ჯალათმაც არ დააყოვნა, ააკანა ავტომატი... ერთი ტყვია მოხვდა გოჩას მხოლოდ... ერთი ტყვია და ისიც სასიკვდილო თანამომძისაგან განწირულს...

— ვოი, ნანა, შვილო! შვილო!... — სიმწრის კივილი აღმოხდა დედას... — მეც მომკალით, მეც! — შვილთან ერთად ჩაიკეცა მშობელი...

— ნე-ნა... — ამოიკვნესა სულთმობრძავმა გოჩამ. გაგლეჯილი ძარღვიდან მოსჩქეფდა სისხლი, ჩაშლილ სხეულს უწითლებდა ერთიანად... სიცოცხლის ნიშანწყალს აცლიდა სრულად...

მახლობლად მყოფმა მამამ ველარც მიუსწრო თვალიხიულს... ველარც მკვლელებს მიუსწრო; მანქანაში ჩახროვდნენ მშობრები, ვიგინდარები, ჩამძორდნენ და გაიქცნენ...

მოჰკლეს უდანაშაულო, უიარალო, უებრო მამულიშვილი, ჭემმარტივი სულის ქართველი... ლამაზი სული მოჰკლეს სულითა და გონებით მახინჯებმა, ლამაზი სული!

...ფუფუნებით კი არა, სამშობლო ქვეყნისა და ერის მოსიყვარულედ აღზარდეს მშობლებმა გოჩა... ფილოლოგი დედა ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა სკოლაში, აგრონომი მამა ლიტერატურის მოყვარულიც გახლდათ, წიგნიერი კაცი...

მშობლებს ეთაყვანებოდა გოჩა; სულიერად კი დასთან მეგობრობდა — თამილასთან...

ნებეირად არა და, კეთილშობილურად კი აღიზარდა ჭაბუკი. მერვე საშუალო სკოლა დაამთავრა ზუგდიდში...

ხუროთმოძღვრებით გატაცებული ხაზავდა, ხატავდა, წერდა. კომუნისტური ყოფის შესაფერისი ტლანქი, უხეში კონსტრუქციები ზარავდა: მსუბუქ, ჰაეროვან არქიტექტურაზე ოცნებობდა...

ჰო, ხატვა და პოეზია უყვარდა, ქართველ პოეტთა ლექსებს კითხულობდა გატაცებით... თავდაც წერდა, მშვენიერ სულს ამზიანებდა ლექსებსა და ნახატებში...

გულთბილიც იყო და გულუხვიც: ყველას ჩუქნიდა, რაც შეეძლო: ნივთს, ლექსს, ნახატს... თანაკლასელ გოგონებს ახალ წელსა

და გაზაფხულს ლექსით, ნახატითა და ყვავილებით ულოცავდა... დაიკომ გიტარა უსახსოვრა, უსაყვარლესი ნივით...

ამ გიტარაზე აცრემლებს ახლა ჯალათისაგან მოკლული ძმის ლექსებს თამილა... მუსიკასაც თავად ქმნის...

სათნო გული ჰქონდა გოჩას. სათნო და კაცთმოყვარე... მკვდარი ჩიტი შეუნიშნავს ეზოში ბავშვობისას, მინ შეურბენინებია, გაუთბია, იქნებ მოსულიერდესო... იქნებ ფრენაც შესძლოსო საბრალოდ...

მუსიკაც უყვარდა თურმე. განსაკუთრებით ვიოლინო... კარგი სმენა ჰქონდა... ამბობენ, თავად არა მღეროდაო...

ზამთრის დადგომას შენატროდა თურმე, თოვლიანი სითეთრე უყვარდა, სისპეტაკე...

იმ საბედისწერო წლის ზამთარი შესძულდა მხოლოდ. ქართველი ერის გაუბედურებას ტკივილობდა...

გაზაფხულს ელოდა... რა იცოდა, თუ საბოლოო იყო ის ზამთარი მისთვის, მეტს ვეღარ მოესწრებოდა, ვეღარ მოიხილავდა ცისიერს...

...საშუალო სკოლის კურსდამთავრებული თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აბარებდა გამოცდებს... ორჯერ აბარებდა! უქრთამოდ, უპროტექციოდ ვერ ჩაირიცხა... ნიჭს გასაქანი არა ჰქონდა იმხანად...

იმპერიულ ჯარში გაინვიეს, ბეგარა მოახდევინეს... ხარკოვის სამშენებლო-საინჟინრო ინსტიტუტში ჩაირიცხა იმწელსვე, არქიტექტურის ფაკულტეტზე...

დაოჯახდა კიდევ უკრაინელ ქალიშვილზე, თანაკურსელზე: მასთან ერთად დაამთავრა ინსტიტუტი...

სადიპლომო ნამუშევარიც გაზავნა კონკურსზე: იმპერიის ცენტრში, მოსკოვში გაგზავნა... გაიმარჯვა კიდევ, სიგელით დაჯილდოვდა...

ხდებოდა ხოლმე: ზოგჯერ დამპყრობლებიც პატივს მიაგებდნენ ქვეშევრდომის ნიჭიერებას...

ცხრა აპრილიც ხარკოვში მოიგოვა გოჩამ. მტკივნეულად განიცადა... მეტი რა შეეძლო და სწორ ინფორმაციას აწვდიდა ამ საშინელებით დაინტერესებულთ, აცნობიერებდა...

მერმე ოჯახითურთ დაუბრუნდა ზუგდიდს ახალგაზრდა არქიტექტორი. ზედმეტი აღმოჩნდა მისი პროფესია მშობლიური ქალაქისათვის. ქუთაისში შეუდგა მსახურებას. სპორტული მანეჟის მთავარ არქიტექტორად დაინიშნა...

გატაცებული იყო საქმით, შეოცნებებულიც... საამაყოდ დარჩათ ქუთათურებს ის ნაგებობა, სამახსოვროდაც!

თოჯინების თეატრის პროექტთა კონკურსშიც მისმა ნამუშევარმა გაიმარჯვა... ნეტა თუ ეღირსება აშენება?

მერმე ინგლისელებმა გამოაცხადეს კონკურსი საცხოვრებელი ბინის პროექტზე, აქაც იპირველა გოჩამ! იქნებ აშენდა კიდევ ის ბინა ინგლისში? ვინ იცის! პროექტის ავტორი კი ვეღარ მოესწ

რო! ეროვნული მოძრაობის ტრიუმფმა ბედნიერება მოჰგვარა ვაჟკაცს, მამულზე შეყვარებული სიამაყით შეუდგა მისდამი სამსახურს...

მინისძვრამ დაანგრია რაჭა — დედულეთი გოჩასი! პირველი ნავიდა იქ, უკანასკნელი დაბრუნდა...

რაჭაში აპროექტებდა ბინებს, აშენებდა, აღადგენდა დანგრეულ სახლებს, გულქართველობით იღვწოდა ღირსეულად, გამოჩინებითა...

რა სწრაფად კეთებოდა ყველაფერი! როგორი აქტარებით... იქნებ გული უგრძობდა საქართველოს პირველ პრეზიდენტს, მისი გზის მიმდევარ გოჩა ჯიქიასაც, რომ უნდა მოესწროთ, აღედგინათ, აეშენებინათ, სანამ სატანა შეუდგებოდა სიკეთესთან ანგარიშსწორებას, ნგრევას და ვაების თესვას...

ეროვნული ხელისუფლების დამხობისთანავე დაბრუნდა გოჩა ზუგდიდში. სისხლის გუბენი იდგა საქართველოში და ქალაქიდან გასვლა აღარ შეეძლო...

მთელი ოჯახი ედგა გვერდით ეროვნულ ხელისუფლებას, ყველას სახელი ემამყებოდათ. გოჩას მამა კი, ბატონი ჭიჭიკო, არ ენდობოდა ყველას, არა სჯეროდა ზოგისა, ვინც გვერდით ედგა პრეზიდენტს...

მოლაღატეაო, მავან-მავანზე გუმანობდა, არგუმენტებსაც იშველიებდა...

გამართლდა კიდევ მისი ნაგუმანევი: მართლაც ბევრი აღმოჩნდა მოლაღატე! პრეზიდენტის ზუგდიდს მიბრუნებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ეს!

გოჩა ვეღარ მოესწრო მოლაღატეთა მხილებას, საკადრისის მიზღვევას...

იგი მზაკვრულად მოჰკლეს დღემზისით, მშობლების, ახლობლების, მთელი ზუგდიდის თვალწინ...

არ დაინდეს ჯალათებმა, ესროლეს ნიჭიერ, დიდებულ მამულიშვილს...

იგი ჭირდებოდა საქართველოს, ერს, ოჯახს და... მოჰკლეს! დააობლეს ორი მცირენლოვანი გოგონა... დააქვრივეს ახალგაზრდა, მოსიყვარულე მეუღლე, ძაძით მოსიღმა რომ იარა მერმე სამი წელი...

დიდი, სულიერი თანხმობით ცხოვრობდა ქმართან სვეტლანა; შესანიშნავად შეისწავლა ქართული, კითხულობდა, წერდა ლამაზად... ახლა დამგლოვიარებული სათუთად უვლის ქმრის ნახატებს, ნახაზებს... უვლის მკვლელის ტყვიით დაცხრილული მეუღლის ნაფიქრალსა და ნაოცნებარს...

ოო, როგორ დააგულმნუხარა გოჩას მკვლელმა მისი ახლობლები, ზუგდიდელები; საქართველოც! მთელმა ეროვნულმა მოძრაობამ დაიტირა იგი! ცრემლი და მწუხარება არ დალეულა გოჩასეულ, პატარა ოდაში...

ჰო, პატარა ოდაში! ნაოცნებარი დიდი ოდის აშენება, საკუთარი პროექტით, ვეღარ მოასწრო; აღარ დააცალეს მკვლელებმა!

ჰოი, როგორ მოუკლეს გული მშობლებს, სამარადისო ძაძით შემოსეს ისინი!

სიმართლის საძებნელად ქუთაისში ჩამოსული ქალბატონი თამარი, შაოსანი, შვილმოკლული დედა სასიკვდილოდ სცემეს პოლიციელებმა, სამართალს რად ეძებო!

გონწართმეული იწვა დიდხანს შვილმკვდარი მშობელი... მერმე მოსულიერდა და დღემდე დადის, დაეძებს, სამართალს ამ უსამართლო ქვეყანაში... ამოოდ დაეძებს!

ზუგდიდში კი „ოთუთუმეს“ სასაფლაოზე განისვენებს გულწმინდა ვაჟკაცის, პატრიოტი ქართველის ნეშტი...

სიკვდილამდე ათი წლის წინათ ლექსად თქმული წინათგრძობა აუხდა თითქოს: „წმინდათა სამყოფს მალლა ცაში თუ ვერ შევწვდები, ჩვენს „ოთუთუმეს“ სასაფლაოს რარიგად ვშვენი...“

საფლავი მეუღლემ გაუნყო, არქიტექტორმა, მისივე პროექტით. გულმოკლული მიდის და აღერის ცრემლს მდულარეს...

დასტირიან მამას მისი პატარა გოგონებიც... მამაჩემი მოვა და აღარ ვიტყვებო, ნატრობს ხუთი წლისა და ტირის, ტირის...

გოჩას მკვლელი კი გალაღებული, ხელისუფალთაგან პატივდებული — დანაშაულებული არხენად დააბიჯებსო ქართულ მინაზე...

ვიცი თ ვინც არისო, მაგრამ სამართალი არა სჭრისო ამქვეყნად, მკერდს იმჯილავენ ზუგდიდელები...

სხვა ვერა გაანყეს და ქუჩას შეარქვეს გოჩას სახელი...

ტყიბულელი თუ საჩხერელი გვარდიელიაო, ამბობენ მკვლელებზე, გლოვად თუ გიორგამო, გელა თუ გოდერძიო... მე ვერც სახელი დავიხსომე და ვერცა გვარი, მისი ვინაობით არ დავინტერესებულვარ... მართლმსაჯულებამ უნდა ძებნოს დანაშაულებული ჩვენთვის უმთავრესი ზნეობა ქართველი კაცისა! ვით დაცოდვილობს ღვითთ კურთხეულ მინაზე ულამაზესი სულის, გოჩა ჯიქიას მკვლელი? ვით იფერებენ ცოდვიანს დედ-მამა თუ და-ძმები? სისხლის სუნი არა სცემთ?

სუფრას რომ მიუსხდებიან მასთან მეგობრები, გული არ ერევათ? მეუღლე როგორ უწვება გვერდით სისხლიანს? შვილები? შვილები როგორ ეფერებიან მკვლელ მამიკოს? გოჩას დაობლებული პანიები არ ებრალბათ?

თვით მკვლელი როგორ ატარებს უშიშმეს ცოდვას. მინა რად არ ჩაითრევს?

ზნეობაა, უმთავრესი-მეთქი, ზნეობა! გოჩა ჯიქიას მკვლელს მართლმსაჯულება რად უნდა, მორალურად სახელმწიფოსი, ცოცხლად მკვდარი, ყველასაგან მოკვეთილი უნდა დაეცეცებოდეს ამქვეყნად, ვით საფრთხობელა საფურთხობელი...

ეს იქნება ყველაზე დიდი სასჯელი მისთვის!

გოჩას უწმინდესი ნეშტი კი განისვენებს „ოთუთუმეს“ სასაფლაოზე. მისი სული მშვენიერი, ლამაზი სული ზეციონიდან დასციმციმებს მამულს, თავისუფლების გზას უნათებს ერს!

ქრისტეშობისთვის 12, 1995 წ.

# სსრკ-ის ნათელი

## ლაშა გელანტიას მონატრება



რკვეველ ვითარებაში დატრიალებული უბედურების გამო დამთავრდა თქვენი ერთად ყოფნის ბედნიერი დღეები.

შვილო ლაშა! შენი საყვარელი მეუღლე ძალიან განიცდის უშენობას. მას ტკივილს ნანილობრივ უშუშებს შენი პატარა ვაჟკაცი, რომელიც არც გინახავს. სიცოცხლეში სანათასთვის გითქვამს: თუ ბიჭი გვეყოლება ჩემი სახელი ლაშა დავარქვითო. სანათამ შეგისრულა სურვილი და პატარას ლაშა დაარქვა.

ჩვენო ლაშა! გვჯეროდეს, რომ შენს ნაშეიერს მზრუნველობა არ მოაკლდება. ჩვენ, შენი მშობლები, სანათას მშობლებთან და ყველა იმ ადამიანებთან ერთად, ვისაც შენ უყვარდი და ახსოვხარ, პატარა ლაშას გავზრდით სასახლო ვაჟკაცად, შენი გვარის გამგრძელებლად და სახელის უკვდავსაყოფად!

შვილო ლაშა! ენატრები ყველას, ვინც შენ გიცნობდა და ახსოვს შენი ლამაზი მომღიმარი სახე, სითბო და სიყვარული. ძალიან დააკლდა ყველას, განსაკუთრებით შენს ობუჯულ თანაკლასელებს, რომლებმაც სიყვარულისა და მოგონების ნიშნად საფლავის ქვა დაგიდგეს.

უსაზღვროდ აკლიხარ ობუჯე-



ლი თენგიზ ფიფიას სიკვდილით გაუბედურებულ დედას, — შენს ლენა ბებიას და თენგიზის და — ინეზა მამიდას, მათ ხომ ობუჯეში ყოფნით შენ ტკივილს უნელეზღი და ცხოვრებას უმსუბუქებდი.

შვილო ლაშა, გვჯერა რომ ადგილი საუკუნო სამყოფელში გაქვს დამკვიდრებული. მსუბუქი ყოფილიყოს ის მინა შენთვის, რომელიც საბნად გახურავს. იებმა და ვარდებმა იხარონ შენს საფლავზე.

**შენზე უსაზღვროდ მონატრებული, მარად შენი მოსიყვარულე მშობლები — მარინე და ვაჟა გელანტიები.**

# ჩემი თავბადასავალი საავადმყოფოში

— საექიმო კომისიის ცნობის გარეშე შენი სანარმოო პრაქტიკიდან გათავისუფლება არ მოხდება! — გაჰკვივლა ჭოტივით სასწავლო ნაწილის გამგემ და მთელი ძალით დაჰკრა მუშტი მაგიდას.

— რა საჭიროა სხვისი დაწერილი ცნობა, როცა საკუთარი თვალებით ხედავს ჯერჯერობით გამოუცნობი დაავადებით დახლებილ ჩემს თითებს? — გავიფიქრე გულში, მაგრამ ვინ გაბედავდა რაიმეს თქმას. თუ გაბრაზდა, მტრისას. ქეჩოში თუ ვერ შეგნვდა, სკამზე ავა და სულ პუტა-პუტა დაგვლევს თმას.

მეორე დღეს, დილით, დიდი საავადმყოფოს დიდ დარბაზში ვუცდიდით მე და მამაჩემი მთავარი ექიმის მოსვლას. გვეღირსა, როგორც იქნა და მოსაცდელი დარბაზიდან კაბინეტის წინ გაჭიმულ რიგში გადავინაცვლეთ.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მთავარი ექიმის კაბინეტში ამოვყავით თავი.

— რას უჩივით? — გაიჭრიალა ექიმის ხმა.

— ჩვენ საექიმო კომისიის ცნობა გვინდა, ბატონო, სკოლაში წარსადგენად.

— რა სჭირს? — თითები აქვს დამსკდარი, სანარმოო პრაქტიკაზე, სადაც ჩაის ხის ყუთები უნდა შეაკეთოს, მაინც ავალბენ წასვლას, — პასუხობს მამაჩემი.

— მაჩვენე თითები! — მთქნარებით თქვა ექიმმა და ზარმაცად დახედა სისხლიან ნაპრალებს, რომლებიც ჩემი ხელის თითებზე საკმაოდ იყო მომრავლებული.

— ამაზე ვინ მოგცემთ კომისიის ცნობას, — სახემოჭუჭუნული მიმიკით მოგვახალა ექიმმა და ხრინწიანად ჩაახველა.

— როგორ თუ არ მოგცემენ, შეიძლება ამ თითებით დამტვრეულ, ხინვიან ყუთებზე პრონიალი? — მიუგო ექიმს მისი პასუხით შემოფოთებულმა მამაჩემმა.

— მე რა, რა აუცილებელია თითებით იმუშაოს. ეგ კი არა, ბრძები აკეთებენ საქმეს! — გადაჭრით შემოგვტყორცნა ექიმმა და რალაც ქაღალდებში ჩაჰყო თავი.

„გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“. ასე მოხდა იმ დღესაც. ბევრი ხვეწნის შემდეგ, როგორც იქნა, ექიმმა პირი ჩვენკენ იბრუნა და... გავგენრა სხვა კაბინეტში.

„ჭექა-ქუხილს“ დარი მოჰყვა.

პალატაში გულთბილად მიგვიღეს. თვალბუმი შემოგვციცივნებდნენ და დროდადრო მამაჩემს მისჩერებოდნენ ხელბუმი.

ნელ-ნელა ქარმა ამ თეთრხალათიანების გულშიც დაჰქროლა და თანდათანობით აცივდა. უუუნუნა თვალბუმი გაყინული თევზის თვალბუმი დაემსგავსნენ, საუბრის სითბოც, ღიმილთან ერთად, ეშმაკმა გაიტაცა. მამაჩემს შუბლზე ოფლის გორბები დააჯდა და ათრთოლებული ხელი ჯიბისკენ წაიღო.

უეცრად მზემ ისევ გამოანათა ექიმის თვალბუმიდან, მაგრამ ეშმაკს ყველაფერი დროებითი აღმოჩნდა. ექიმის ღიმილი გაქრა მამაჩემის ჯიბიდან ოფლის მოსანმენდად ცხვირსახოცის ამოღებასთან ერთად.

— მაშასადამე, თქვენ გინდათ საექიმო კომისიის დასკვნა, — ჩაიბუტბუტა ექიმმა და დაიწყო იმ კაბინეტების ჩამონერა, სადაც უნდა გაესინჯათ ჩემი თითები. წერდა და თან ხმადაბლა ამბობდა: „გულის ექიმი, რენტგენი, თვალის ექიმი, ქერურგი, ნევროპათოლოგი, დებილთა ექიმი, გინეკო...ო...ლ...ოგი... აუჰ, ბიჭია!“ — ბიჭია, ბატონო, ბიჭი! — ახლა უკვე განრისხებულმა წამოიძახა მამაჩემმა, მაგრამ წარბიც ვერ შეარხვეინა ამ სიმინდის ტაროსოდენა ქალს.

ბოლოს მაინც ჩამოვუარეთ ექიმის მიერ ჩამოთვლილ კაბინეტებს, გარდა იმ უკანასკნელისა, მაგრამ ექიმი არსად დაგვხვდა დებილთა პალატის გარდა.

— რომელ კლასში ხარ, ბიჭი? — შემომცინა პალატაში დებილთა ექიმმა.

— მეათეში გადავიდა, ბატონო! — დამასწრო მამაჩემმა.

— სუ, თქვენ ნუ, აბა თვითონ თუ იტყვის, — უთხრა ექიმმა მამაჩემს და კითხვა გამიმეორა.


გმონი დებილი ვგონივარ ამ ქალს, — გამოიღვა თავში და მამაჩემს ავხვედ.

მთმინებებიდან გამოსულმა მამაჩემმა ანკეტა მაგიდაზე დააგდო, მტაცა ხელი და მთელი საათის სავალი კიბე ერთ ნუთში ჩამათავებინა.

ის დღე იყო და ის! მას შემდეგ არც მე მინახავს საავადმყოფო და არც მას ვუნახივარ მე.

**გ. ჯიქია, 1978 წ. ზუგდიდი, IX კლასი.**

# გოჩა ჯიქია ოქრო არის მწვანე!



ჩემდა საუბედუროდ, მასალა, რომელიც გაკვეთილად გექონდა, ოქროს შეეხებოდა.

მართალია, გადავრჩი, რადგან მასწავლებელს ჩემთვის გაკვეთილი არ უკითხავს, მაგრამ აი, რა მოხდა: მასწავლებელმა რამდენიმე მოსწავლის გამოძახების შემდეგ დასვა, ერთი შეხედვით, მარტივი შეკითხვა: „რა ფერია ოქრო?“ და დარწმუნებული იყო, რომ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ყველას შეეძლო. იმ წამსვე მის წინ ორ-ორი თითი დატრიალდა. „მე, მე, მასნ!“ — გაჰყვიროდნენ ბავშვები.

ხმაურმა გამომარკვია. მეგობარს მუჯღუგუნო გაგვარა და ვკითხე: ისეთი რა შეკითხვა დასვა მასწავლებელმა, რომ შენც თითი გაქვს ანუ ული-მეთქი.

მანაც უხეიროდ მიპასუხა: „რა ფერია ოქრო!“

„რა ფერია ოქრო?“ — ვკითხე ჩემს თავს.

„უცებ თვალები გამიბრწყინდა, დამავიწყდა ჩემი „თავის ტკივილი“ და ამხანაგებისაგან გადაჭარბებული ხმით წამოვიძახე: „მე, მე, მასნ!“

მასწავლებელმა თვალები გამისწორა, მიხვდა ჩემს წინანდელ ოინებს, მაგრამ არ გაკვირვებია, რადგან პირველი არ იყო ჩემგან ასეთი საქციელი. მეც მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

„დასწყევლოს ღმერთმა! რად მინდოდა თავის მოავადმყოფება, როდის იყო, რომ გაკვეთილს მეკითხებოდა, ოჰ! — გავიფიქრე, მაგრამ მაინც არ დამიკარგავს სიხარული, რომელიც შეკითხვამ მომანიჭა. — ჰო, კარგი, თქვი! ალბათ, ეს მაინც გეცოდინება.“

— წარმოთქვა მასწავლებელმა დამცინავი ღიმილით.

მეტისმეტეი სიხარულისაგან სისხლი სახეზე მომანვა. ერთხელ ღრმად ამოვისუნთქე და შემოღივივით წამოვიძახე: „ოქრო

არის მწვანე!“ და შექების მოლოდინში თვალბეგადმოკარკლული მივაჩერდი მასწავლებელს, მაგრამ ნაცვლად ამისა, კლასის ხარხარი მივიღე.

მასწავლებელმა სიცილი სწრაფად შეიცვალა კუშტი გამომეტყველებით და ტუჩები მოკუმდა. მისმა თვალბუმი ელვარებამ რენტგენის სხივებით დამიარა მთელს ტანში...

— დაეგდე! — იყო პასუხი. მოდუნებული და თავლებგამტრებული დავჯექი. აღარაფერი მესმოდა. ოჰ, რა ძნელი ყოფილა! პირველად ავნივ ხელი და...

სწრაფად მოვედი გონს. ახლა მასწავლებელი ჩემს უკან მჯდომ მონსწავლეს ლანძღავდა.

— ვაიმე, რას ბრუდინობენ! დიდუ, გაგიჟდები კაცი, აბა რა მოგივა ამათ ხელში. რა მეცნიერებაზე უნდა ესაუბრო, როცა ისიც არ იციან, რა ფერია ოქრო, — გაცხარებული ყვიროდა მასწავლებელი!

ამჯერად კლასი დუმდა. თვალწინ დამიდგა გახეთქიდან ამოკითხული სიტყვები — „მწვანე ოქრო“, „მწვანე ოქროს ოსტატი“ და ა. შ.

გაკვეთილების დამთავრებისთანავე სწრაფად გავეშურე სახლისაკენ. ათრთოლებული ხელებით შევაღე კარი. სწრაფად მოვძებნე ნაცნობი გაზეთი და აი, ის სტატიაც.

თვალის დახამხამებაში გადავიკითხე წერილი მწვანე ოქროს შესახებ.

ნელ-ნელა ავნივ თავი მაღლა და ჭერზე ერთ კუნჭულს მივამტყრე გაოგნებული თვალბუმი. თურმე ეს ჩემი მწვანე ოქრო ჩაიყოფილა!

**გ. ჯიქია. IV კლასი, 1972 წ. მასწავლებელი დანყებითი კლასისა — ლიდა ყალიჩავა.**

**გ**არი დაირეკა. ბავშვები ერთი აურზაურით შეეცვივდით კლასებში. მეც ჩემს კლასს მივაპურე და გაკვეთილის უცოდინარობის გამო გულშეღონებული დავეგდე ჩემსავით მოწყენილ და მელნით გათხუპნილ მერხზე.

ქართულის გაკვეთილი დაიწყო. მეშინოდა, გაკვეთილი არ ეკითხათ და ამიტომ მერხში ვიმალებოდი.

მასწავლებელი სიის ამოკითხვას შეუდგა. მე ბოლოში ვენერე. „ჯიქია“ — ამოკითხა მასწავლებელმა და მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვის შემდეგ ფეხზე წამოდგა.

მე მერხიდან ამოძრომა ვერ მოვასწარი რის გამოც მასწავლებელმა იკითხა: „ჯიქია გოჩა სად არის?“ — ვარ! — ამოვილულულე მე. მასწავლებელმა ცნობისმოყვარეობით შემომხედა.

— რა დაგემართა? — მკითხა და თვალბუმი მოჭუტა.

— თავი მტკიცა მასნ! — წავილულულე აკანკალებული ხმით და თავი დავხარე იმის შიშით, რომ არ შეეტყო ჩემი ოინები.

მან დაიჯერა ჩემი სიცრუე და დამსვა.

## შენს ლექსს ვჭურჩულებ

შენს ლექსს ვჭურჩულებ, შენი გულის ჩამიჩუმს ვისმენ. შენს ფიქრებს, ფიფქებს ფრთახატულებს მკერდზე დავიფენ. შენს ღიმილს ვუმღერ, ცრემლს შევნატრი, ციცქნას, კრიალას, ნაზი ალერსით ლოყაზე რომ გადავიარა. ჩამოვკრავ სიმებს, ისევ შენი მესმის გალობა. ქუჩის მასხარას გამიღიმე, გაეც ნყალობა. დამსაჯა ღმერთმა, სიყვარულის არ დამყვა ნიჭი, ბალი-ბალ ბადით პეპლებს დავსდევ ბედკრული ბიჭი. შენს ლექსს ვჭურჩულებ, შენი გულის ჩამიჩუმს ვისმენ, შენს ფიქრებს, ფიფქებს ფრთახატულებს მკერდზე დავიფენ. შენს ღიმილს ვუმღერ, ცრემლს შევნატრი ციცქნას, კრიალას, ნაზი ალერსით ლოყაზე რომ გადავიარა.

**1982 წ. ქ. ჩუგუევი.**



# „გულის სტრიქონები“ გულმართალი შემოქმედისა

შესანიშნავ ჟურნალისტსა და მწერალზე, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეზე, სულმნათ შოთა ფიფიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე წერისას, ამგვარი აფორიზმული გამოხატვაში მასხენდება: „ადამიანად ყოფნა უპირატესად სიკეთისა და ბოროტების უპირობო გარჩევის უნარია, არაფრად ღირს ადამიანი, თუ ეს უნარი დაუწილუნგდება მას“. ასეთი საზრიანი ნათქვამი იმიტომ მომყავს, რომ ხაზგასმით აღვნიშნო ბატონ შოთა ფიფიას მნიშვნელოვანი დამსახურება, შესაშური უნარი არა მხოლოდ თეთრისა და შავის ერთურობისგან გარჩევისა, არამედ მისი შეუპოვარი ბრძოლა სიციყითა და კალმით ყოველგვარი ბოროტებისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ, ხოლო სამართლიანობისა და სიკეთისადმი უგულვითად მხარდაჭერა და მოწინება. ყოველივე ზემოთქმულის უტყუარი მაგალითია შოთა ფიფიას შემოქმედებითი შრომითა და ბრძოლით გამოვლილი არცთუ ია-ვარდით მოფენილი გზა. ამასვე ადასტურებს მისი ახლახან გამოცემული უაღრესად საინტერესო წიგნი სახელწოდებით „გულის სტრიქონები“, რომლის რედაქტორი გახლავთ ავტორის ვაჟი ცნობილი პოეტი და მწერალი თამაზ ფიფია.

აღნიშნული კრებული შოთა ფიფიას სულიერი ბიოგრაფიაა, მისი პოეტური სუნთქვის ანაბეჭდია. ამ მშვენიერი წიგნის წინასიტყვაობაში ყურადღებას იპყრობს ავტორისეული საოცრად უშუალო და მიმზიდველი სტრიქონები:

„მიტომ ვიცხოვრე ამ ქვეყანაზე, კეთილი გულის გამეთქვა ფეთქვა, სიცოცხლესა და დიდ სიყვარულზე მეც ჩემებური სიმღერა მეთქვა.“

ბატონ შოთა ფიფიას, როგორც შემოქმედისა და მალაქონობრივი ადამიანის სახეს, მისივე შრომა-რუდუნებით გავლილ გზას, მის სინამდვილესა და გულწრფელი პირდაპირობით გამოხატავს ერთსტროფიანი ლექსი — „ჩემი ეპიტაფია“:

„მთელი სიცოცხლე ვიარე თეთრად და ჩემი სული წმინდა ბროლია, ისე გავლიე ყოფის გზა-შარა, სიშავე გულში არ ჩამყოლია.“

ვინც წინამდებარე წიგნს გულსურთით გაეცნობა, მისთვის ნამდვილად ადვილი მისახვედრი იქნება, თუ თავისი თაობის ადამიანებისგან განსხვავებით, ესოდენ გულმხურვალედ და ალტაცებით რატომ შეხვდა შოთა ფიფია ეროვნული მოძრაობის აბოპოქრებას, ქართველი ერის ნანატრი თავისუფლებისათვის ბრძოლას.

ადრეულ წლებში დაწერილ ლექსებში აკი აშკარად სჩანს მისი პროტესტი ავადმოსაგონარი ტოტალიტარული რეჟიმის

წინააღმდეგ. იგი გულისტკივლით სწერს:

„ახლა ბელზებლის ავხორცული ისმის ხარხარი, და ყველა ღამე ისე რიგად სატანიადობს, გამოლადრულა ულმობელად სინათლის ყელი, იმედის სხივი არსაიდან აღარ ჭიატობს.“

და იქვე მძაფრი ტონით აგრძელებს:

„ამდენი შხამი და ლენცოფა როგორ მეზიდა... სიცოცხლის ძარღვი ამოგლიჯეს გულის ფეხვიდან, დავდივარ ასე გათანგული, ვით ნემეზიდა, ვინ აფათურებს წმინდა ძვლებში შებილწულ ხელებს, ვინ მისცა ფიქრი სათარეშოდ ბიბლიურ გველებს. ვიღამ გამართა აქ ხარონის ძველი ბორნები, რად ფარფატებენ მტრედის ფრთებით შავი ყორნები.“

ამ რამდენიმე სტროფით ავტორი მხატვრული ოსტატობით გადმოგვცემს იმ შავნელ წარსულს თავისი სიყვარულითა და ბედუქმდრობით.

როგორც შინაარსით, ასევე მალაქმხატვრული ძალმოსილებით გამოირჩევა უსათაურო ლექსი „და შენ მოდგმავ ადამის“. აღნიშნული ლექსი მკითხველს აიძულებს სულმოუთქმელად ჩაიკითხოს იგი. მომყავს ფრაგმენტები ამ ლექსებიდან.

„და შენ მოდგმავ ადამის გაძევებენ თემიდან, რა ძალა გაქვს, რას იზამ ხომ ბრმა არის თემიდა თუკი გინდა „სახელი“ მრუმე ფიქრნი დასძარი. შენებას თუ ვერ შეძლებ, დასწვი ლოცვის ტაძარი. უღვთობის ქვეყანად, უკულმართად გათენდა, დასწვი ყველა სასახლე ის ხომ ძვლებზე აშენდა. წრიულია ეს ბრუნვა: კეთილს ანგრევეს ბოროტი, რა მადლს ქვეყნად თესავდე, ვერ გააღწევს ბოლომდე. ....“

ეს რამდენჯერ გატყუეს ვერ შევიცან მართალი. მით არ გჯერა სასწორის, აღარც მისი ქანქარის. მეზიზღება ეს დროშაც მგლები ცხვრების ემბლემით, ჯოჯოხეთში გრძელდება წრფელი სულის ბეთლემი. ....“

და შენ მოდგმავ ადამის მოკვეთილი თემიდან, უკულმა ყოველი, რადგან ბრმაა თემიდა.“

ეს მშვენიერი ლექსი 1964 წლითაა დათარიღებული, რომელიც სრულყოფილად ასახავს იმ ავადმოსაგონარ დროუჟამს, რასაც დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს ეძახდნენ ახლო წასრულში.

მკითხველთა ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს შოთა ფიფიას 1991 წელს დაწერილი ლექსები, რომლებშიც ავტორის

ხანდაზმულობის მიუხედავად იგრძნობა საოცარი პათოსი ქართველი ერის საუკუნეობრივი ნაოცნებარი დამოუკიდებლობის მოპოვებით გამოწვეული:

„სიცოცხლის დილა გათენდა, წამომართული აპრილად და მჯერა, მჯერა ნამდვილად ალგეთს ლეკვები დაზრდილან. დღემ ღვთისნიერმა ერისამ ინათა, იგანთიდა, გულში იბარცყა იმედმა, კინინი გაგვხადა ზვიადად. ფიქრი შავნელი უკუნით სულს ხრავდა, ჭამდა ზარავდა, კვლავ სიხარული გადიდა, ნაღველი დაპატარავდა.“

აი, ასეთი გახლავთ შოთა ფიფიას გულმხურვალე პატრიოტიზმი, მამულიშვილობა და კაცურკაცობა.

შოთასეული ყოველი ლექსი, ყოველი ნაწარმოები იკითხება შენეული ინტერესით. ამას განაპირობებს თემის აქტუალობა, მძაფრი სიუჟეტი, მალაქმხატვრული დონე. ჭეშმარიტი მკითხველი აუღელვებლად ნაიკითხავს მის მოთხრობებს და ნოველებს, როგორცაა „მონაზონი“, „ცალხელა აფთიაქარი“, „სისხლიანი ჭერი“, „თეთრი სარკმელი“, „სიყვარული“ და სხვა მრავალი.

იმისთვის, რომ ნათლად წარმოჩინდეს ამდაგვარი პიროვნების მწერლური ალლო, მისი ეროვნული მრწამსი, მალაქი იდეალები, საკმარისად მესახება მისივე ნაწარმოებებიდან ამორიდებული რამდენიმე აფორიზმული გამოხატვისა და სახელები: „სულ უფრო ვრწმუნდები, რომ ერისკაცი არ არის იგი, ვინც თავის ხალხზე უკეთ ცხოვრებას ცდილობს“, „მე ყოველთვის მძულდა ადამიანები, რომლებიც გულით არიან ბრმანი და არა თვალებით“, „ჩემი სამება ყოველთვის საქართველო, ქართველი და ქართულია“, „მძულს ადამიანები, რომელთაც გული ამოჭმული აქვთ და სხვის დასახანად ბრწყინავენ მარტო“, „მე ვრწმუნდები იმ სიბრძნეში, რომ თაობათა ცვლა, თუმცა ბუნებრივი პროცესია, მაგრამ ნაღველიანიც არის“, „პატივი ეცით სიბერეს, ის თქვენი ხვალის დელი დღეა“, „ცრემლი ხომ სიცოცხლის გარდუვალობაა, ვისაც აცრემლება არ შეუძლია, ვერას გზით ვერ აღიქვამს სიხარულსაც.“

საოცარია სამშობლოსადმი სიყვარულის შოთასეული განცდა, იგი წერს: „ჩვენი სიცოცხლის შინაარსი სამშობლოა, ის განაგებს ჩვენი ცხოვრების ძარღვისცემას. თუ მშობლიური ქვეყანა შენს გულში წმინდა სახატედ არ არის ქცეული, შენ არარა კაცი ხარ, არავითარი შინაარსი არა აქვს შენს არსებობას, შენ ცხოველი ხარ, ღორი ხარ, რომელიც მხოლოდ გაძლო-მაზე ფიქრობს...“

სამშობლოს სიყვარული უწინარესად მისი ბედნიერებისთვის, თავისუფლებისთვის ზრუნვას ნიშნავს... ეს ზრუნვა

ყოველ წუთს შესაძლოა თავდადებულ ბრძოლაში გადაიზარდოს. ქართველი მუდამ მზად უნდა იყოს ამისთვის. სიცოცხლე და სიყვარული უწინარესად სამშობლოსათვის, მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოსათვის!“

ესაა ჭეშმარიტი ერისკაცის გულიდან ამოძახილი მონოდება, მონოდება, რომელიც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, მით უმეტეს ჩვენს საზოგადოებას.

შოთა ფიფია მრავალმხრივი შემოქმედი გახლდათ, წლების მანძილზე უღვაწია განათლებისა და კულტურის სფეროში, მაგრამ მის ჟურნალისტურ, მწერლურ ნიჭსა და უნარს ყველაზე მეტი ასპარეზი მაინც პრესაში მიეცა, თავისი შეგნებული ცხოვრების სამ ათეულზე მეტი წელი გაზეთში მუშაობას შეაღწია.

ამჟამად, როცა თაობათა შორის კავშირის შესუსტების პროცესი შეიმჩნევა, გამოცდილების მქონე, უფროსი თაობის ადამიანები რატომღაც ეზედმეტებათ, — მაგონდება ჩვენი ჭარმაგი რედაქტორი, ხშირად სიზმარშიც მეცხადება ახალბედა ჟურნალისტებს შორის გამოცდილებით დახუნძლული ახალგაზრდული შემართებით რომ იღვწოდა. იგი სამაგალითო იყო იმითაც, რომ თავის ხალხთან, მტერთან თუ მოყვარესთან ურთიერთობაში იჩენდა შესაშურ ტაქტიანობას და რაც უმთავრესია, თანამდებობა, გაზეთი, როგორც ტრიბუნა, არასოდეს გამოუყენებია პირადი ანგარიშსწორების იარაღად.

ცალკე თემაა შოთა ფიფია, როგორც ტრიბუნა, ენაწყლიანი ორატორი. თავის დროზე რაიონის სასცენო ხელოვნების ენთუზიასტი, ჩინებული თამადა, ერთგული მეუღლე, ოჯახის პატრონი, შესანიშნავი მამა და საყვარელი ბაბუა.

პირადად მე მარად საამაყოდ დამრჩება, რომ ორ ათეულ წელზე მეტხანს ამ სასაქადულო პიროვნების გვერდით ვენეოდი ჟურნალისტის არცთუ მსუბუქ ტვირთს. შოთა გახლდათ ჩემი მასწავლებელი ჟურნალისტურ საქმიანობაში. დაუფინყარია ჩემთვის მისეული სიტბო და ყურადღება. მე იშვიათად შემხვედრია ისეთი პიროვნება თავისი ოჯახით, რომელსაც სხვისი სიხარულით აღფრთოვანება და მწუხარებისას იმგვარად შესძლებოდა, როგორც ეს ბატონ შოთას და მის ძვირფას მეუღლეს ქალბატონ მარიამ ბერძენიშვილს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები.

ახლა, როცა ახლადგამოცემულ მის წიგნს ვკითხულობ, იმავზეც ვფიქრობ, — რა იქნებოდა ამ შესანიშნავ კალმოსანს სიცოცხლეზე ენახა თავისი წიგნი და ამით დამტკბარიყო.

ახლა, რაც უმთავრესია, — შოთა ფიფია თავის შესანიშნავ ნაწარმოებებთან ერთად ავტორია ნამდვილი შედეგისა

შვილების სახით. ქ-ნი ლეილა ფიფია გამორჩეული ოჯახის პატრონია სახელოვანი შვილების დედა და უკვე ბებიაც. რაც შეეხება თამაზ ფიფიას, მისი ლიტერატურული შემოქმედების გაცნობა დიხაჯე გვარწმუნებს, რომ სახელოვანი მამის ალიკვალა, სწორედ ამაზეა ნათქვამი კვიცი გვარზე ხტისო.

შოთა ფიფიას ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჯეროვან პატივს მიაგებენ მისი შეძენილი შვილები ქ-ნი მათა დარჩია, სიძე რეზო კალანდია. საყვარელ ბაბუას სახელს ეთაყვანებიან შვილიშვილები: კესო, კობა, გოგა კალანდები, თამთა ფიფია.

„გულის სტრიქონები“ გულმართალი შემოქმედისა უაღრესად საინტერესო, მალაქმხატვრულად დაწერილი წიგნია, იგი ნამდვილად მნიშვნელოვანი შენაძენია მხატვრული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველებისთვის.

**რინოს კვარაცხელია.**  
2005 წ.

**თამთა**  
თამთა ფიფიასადმი

ღმერთმა ცისკრის მნათად გაგაჩინა თამთა, — თან ცხოვრების გზაზე ხელიც მოგიმართა: სიკეთის და ნიჭის დაგაბერცყა კალთა... დედისა და მამის ხართ სინათლე თვალთა. მწამს აღმერთებ მამას, — სიმართლის გზით მავალს ქვეყნის კიდით კიდე, ბარდაბარ და მთა-მთა... თქვენს გულის სწორს ვლოცავ, ვით სილალეს ფრთათა, — გყავთ ცოტნე და თეკლე, მონაგარი გვართა... დაიფარავს ღმერთი მათ თვალთაგან ავთა, — რომ არ ჩაქრეს სხივი ანთებული სანთლად. დრო გადის და დღეებს თვედ და წლებად ართავს, — ჟამი განსჯის ყველას მტყუანსა და მართალს. თუმც ობობა ბევრგან მაცდურ ქსელებს ხლართავს, — ღმერთმა შარს და ხიფათს აგარიდოს თამთა. სამყაროში ყოველს უფლის ნება მართავს; გულმხურვალედ გლოცავ ქალ-ვაჟთან და ქმართან. მომავლისკენ მზირალს ნანთებს ათინათად, — სეფექალად ღმერთმა შეგამზადა თამთა.

**რინოს კვარაცხელია.**

# სიგნალის დიდილი

**პოლიტიკური გრამატიკა**  
**არსებითი** სახელი — ედუარდ შევარდნაძე — ის ხალხის მეხსიერებაში არსებობს, როგორც საქართველოს სუკის ყოფილი შეფი, საქართველოს ცეკას პირველი მდივანი: ყველა უბედურების სათავე, საქართველოს ღირსეული შვილების მანამებელი და გამანადგურებელი.

**ზედსართავი სახელი** — თეთრი გიორგი. ადრე თეთრ მელად იწოდებოდა, მაგრამ რაკი მოინათლა (საბა: „ბერად შემდგარი მელი“) ნათლობის სახელად გიორგი შეირქვა, თუმცა მელიობა მაინც არ მოიშალა, კვლავ საქათმისკენ (ჩრდილოეთისაკენ, რუსეთისაკენ) ჰქმნა პირი და საქართველოს ახალ უბედურებას (მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდა) უმზადებს. საკუთარი ერის მიმართ გა-ზვიადებული აღერგია აქვს.

**რიცხვითი სახელი** — საკუთარი ხალხის მანოკებელი, მოხარი, აფხაზეთის ომიდან სამარცხვინოდ გამოპარული ჯაბას ბიჭები...

**ნაცვალსახელი** — საქართველო. ედიკას პოლიტიკამ მართლაც ნაცვალზე მოიყვანა. შიმშილით განმეხულ ხალხს ევროპა-ამერიკის გამონაცვლითაც

ვერ ანაყრებს.  
**ზმნა** — მიღებულია სიტყვიდან „ვიზამ“ — ჯაბა იოსელიანი. ზმნა შესანიშნავად იცვლის ფორმას. ქურდ და ყაჩაღ ჯაბასაგან „სარდალი“ და „პარლამენტარი“ მივიღეთ.

**ზმნიზედა** — თენგიზ სიგუა, სუკის მიერ ზვიადის ბანაკში შეგზავნილი რაფინირებული არამზადა, რომელმაც ქართველი ერთი უცხოურ სიგარეტებსა და „ჟვარკებს“ ანაცვალა.

**თანდებული** — საქართველოს პარლამენტი პლუს გიორგი ჭანტურია თავისი ირინათი.

**კავშირი** — ან უკვე დასასვენებლად გაგზავნილი ბუშ-ბეიკერ — გენშერის სამეული.

**შორისდებული** — დაკარგული სამაჩაბლო და დასაკარგავად შემზადებული აფხაზეთი.

**ნაწილაკი** — საქართველო, შევარდნაძის მიერ ჩაფიქრებული დაქუცმაცების შემდეგ.

**პოლიტიკური მათემატიკა**  
 პარლამენტის და ედიკას ჯამი = ახალ „გიორგიევსკის ტრაქტატს“. კვადრატული ფესვი შევარდნაძიდან = სერგო ორჯონიკიძეს.

ადგილთა გადანაცვებით... იღუპება საქართველო, კენჭს+მენჭი=ჯაბას არჩევნებს.

**პოლიტიკური ანდაზები**  
 ლეკვი ჯერ არ დაბადებულიყო და... ჯაბას არქმევდნენო.  
 ჯაბას შიშით სამეგრელო ვის ამოუნყვეტიაო.

შევარდნაძე მნამს, მაგრამ ბოლო მალეღვებო.

შევარდნაძეს „დიდი“ სტუმარი ეწვია — ჰანს დიტრიხ გენშერი. იგი წავიდა, ქართველებს საჩუქრად ოთხფეხა „გენშერები“ დაუტოვა.

შევარდნაძემ, მსოფლიოს „ახალი პოლიტიკური აზროვნებით“ გასუქებულმა, საქართველო და პარლამენტი გაასუქა.

ჯაბას ბიჭები თავიდან მაინც და მაინც არ გამოირჩეოდნენ არც წონით (ხალხის თვალში) და არც ქონებით, სამეგრელოსა და აფხაზეთის „აღების“ შემდეგ მართლაც დამიმდნენ — ხალხის ნაძრცვითა და ქონებით.

**ერთი გვარისა და სახელის ეტიმოლოგიისათვის**

ქართული ნაცვალსახელის „შენ“-ის მეგრული შესატყვისია „სი“. ხოლო არსებით სახელს ქვას — ქუა, ეს უკანასკნელი კი ხშირად გამოიყენება მეტყველებაში: ქუას ქიგებდით (ქვაზე დავდექი, ე.ი. სიტყვას არ გადავალ): ქუარ-გილი სქანი ნოჟორს (ქვაგრილი

შენს პირში, ყორნის ყრანტალისას იტყვიან, აქოდა ავისმომასწავებელია და ქვაგრილი უშველისო), ქუა ქიგნობით (ქვა მოვისროლე, ე.ი. დამბრუნებელი არა ვარო); ქუათ გინორთელი (ე.ი. ქვად გადაქცეული) ყოფა-ცხოვრებაში ქვასანაყი ანუ ფილთაქვა; დოლაბი, ამასთან-ავე თავში ჩასარტყმელად და ა.შ.

ეტყობა თენგიზ სიგუას წინაპარი მაგარი ქვასროლია იყო ან მტიციედ იდგა ქვაზე, როცა ვილაც მავანმა გვარად დაუნესა: სი-ქუა, სი-გუა-სიგუა. პრემიერმა თენგიზმა კი ქვაგრილი შენს პირში, მშობლიურ სამეგრელოს მიანყველა, მისკენ ქვა მოისროლა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მისი თავგადასახად გამსახურდიას საქმეებისადმი ქვად იქცა. აქ ერთ გარემოებასაც გვინდა მივაქციოთ ყურადღება:

როგორც ვარაუდობენ საკუთარი სახელი თენგიზი სპარსულიდან თუ არაბულიდან მომდინარეობს. ჩემი დაკვირვებით და ღრმა ანალიზის შემდეგ ერთ დასკვნამდე მივდი. ეს სახელი სუფთა ქართული წარმომავლობისაა, იგი ორი ფუძისაგან შედგება — თენ გიზი — თან გიზის. ან ბგერას ენი შეენაცვლა. საბოლოო ჯამში კი მივიღეთ: სი ქუა

თან გიზის ანუ სიგუა თენგიზი. ერთი რამ რჩება გაურკვეველი: როგორ ვერ მიაქცია შორსმჭვრეტელმა პრეზიდენტმა სუკის მიერ შემოთავაზებულ შრიფტს თან გიზის სი ქუა ქართულ-მეგრულის შერწყმით თან გიზის შენ (სი) ქვა (ქუა)-ო.

ამასწინათ საინფორმაციო სააგენტო „იფრინდამ“ გააფრცვლა ინფორმაცია, რომ ბატონი პრემიერი საკუთარი გვარის გერმანულ ყაიდაზე მოდერნიზებას აპირებსო, როგორც ვარაუდობენ, ეს გვარი ასეთ სახეს მიიღებს — ზიგ ჰაი, ვარაუდი არცთუ უსაფუძვლოა: გათვალისწინებულია პრემიერის განსაკუთრებული სიყვარული ე. შევარდნაძისადმი, ამ უკანასკნელისა კი — გერმანიისადმი, მით უმეტეს რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დიდი ხანია (მონათვლის შემდეგ) გამოიცვალა სახელიცა და გვარიც და გახდა — გეორგ გენშევი. ცხადია, ედუარდ ყოფილის პოლიტიკური გენია საქართველოს ფარგლებში ვერ ჩაეტიდა და ახალ გვარ-სახელთან ერთად ევროპისკენ გაჭრას (უფრო ზუსტად გაფრენას) აპირებს.


კაპა ღაჭია  
 1993 წ.

## ...ნაცარ-მტვრად იყვნენ ქცეულნი, ვინაც გუშინა ზვაოზდნენ; ჩვენის სიკვდილის მსურველნი ყორნები ვეღარ ჩხაოდნენ (ვაჟა)



# სიკვდილ-სიცოცხლე მხოლოდ აქ მინდა!

## თაგაზ ფიფია



ათეულობით წლის ჟურნალისტურმა საქმიანობამ ახლოს გამაცნო საქართველოს ყველა კუთხე და დავრწმუნდი: მინა-წყლის დიდებულებით, ისტორიული თვალსაწიერი, წინაპართა სიბრძნითა და შემართებით, მამულიშვილთა მუყაითობითა და გულითადობით საქართველო გამორჩეულად მშვენიერია. და მაინც „ჩვენი ბალი თუ არა ჰყვავის“ მიზეზები მხოლოდ მტკიცე ერთიანობის უქონლობაში უნდა ვეძიოთ...

მთავარია: ჩვენი დიადი სამშობლის პატრონად ვივარგოთ!

მედგარ წინაპართ უკვდავი სული ახლაც ხმინაობს ციხის ნანგრევთან. კვლავ მოგვიწოდებს ერთობისაკენ ძმათა ლაღატი რათა აღიფხვრას, შევეშვათ ორგულთ გადმოყრილ საკენკს, გამოვიჩინოთ მტერთან მძლავრი ფხა! შევეშვათ სივრცე გმირთა სუფევას, მერმისს დავუგოთ ფოლადის ლიბო, ჩანდეს, — მამულის მართვის უფლებას შემართებულად, ახლაც რომ ვცდილობთ! ამ ქვეყანაზე ყველაზე უფრო ცოდვას კაცი, მკრთალი, ჯაბანი, დედასამშობლოს დაცვაში უფხოს თავსაფარია მინის საბანი.

1  
აღმოსავლეთით მზე იწვერება,  
დასავლეთით კი ჩანს მთვარე სავსე,  
კეკლუცი დილა ისე ხასხასებს,  
ივრცობა მზის და მთვარის ფერებად.  
ხევში ჩანჩქერთა ისმის შხუილი,  
მალლიდან ქედი შემობნკარულა,  
შიგ ნისლის ფთილა შემოპარულა,  
— აქ გიპყრობს მარად ყოფნის  
სურვილი!

ზოგან ზღვა ღელავს,  
ზოგან — ყანები,  
ვაზი მშვენიერის ალი-კვალაია,  
მინა-წყლის მოვლა შვილის ვალია,  
ფიქრნი მომდგარან მომთაბარენი...  
მამულის წარმტაც დიდებულ ხედით  
წლის ყველა დროში სიამით ვთვრები,  
გულს ვანეტარებ ოცნების  
ფრთებით, —  
აქ რომ მე ვიშვი, — მქონია ბედი!

2  
ლაკადის<sup>1</sup> მთებში მიჭენებია  
ყმანვილს უბელო, ფეხმარდი ცხენი,  
სულში მხნე მხედრის მწე გენებია, —  
დაუოკებელ სურვილებს ვხედნი!  
შმაგი ენგურის შევბმივარ ტალღას,  
გამოვწრთობილვარ ყინვისებრ  
ჩქერში,  
გრძნეული სიტყვა მუდამ თან  
მახლავს,  
ტაბაკი მიდგას მშობლიურ ერში.  
ვიზრდები დიად წარსულის ფესვით,  
მომავლის გზასაც რწმენით  
გავყურებ,  
სამშობლოს ჭირი და ლხინი მესმის,  
სამშობლო — ტკბილი ოცნების ყურე!

3  
კახეთის ზვრებით გული გამთბარა,  
ქართლის ბალებში — ვაშლის  
სურნელით,  
ამძიმებს ნეტარ ნაყოფს მთა-ბარად  
მზის სხივთა ბრწყინვა გაუხუნელი.  
სალ ჭიუხებში ფშავ-ხევსურეთის,  
მალალ კალთებზეც დიდ  
მყინვარწვერის,  
მომისმენია სტვენა შურთხების,  
დავმტკბარვარ ლამაზ სამშობლოს  
მზერით.  
ბაგრატის ტაძრის ლოდებთან ახლოს,  
შაორს გადაღმა, ზემო მთებისკენ,  
ნაცნობ ნალკოტში ოცნებით  
ვსახლობ,  
იმ სოფლის ტყვე ვარ ჩემის ნებითვე.

4  
თვალშეუდგამი მიხილავს თმოგვი,  
იქვე, — ქალაქი კლდეში ვარძია,  
მაშინ ვიგრძენი, ისე, ვით მოგვმა,  
მესხეთი ქვეყნის რარიგ განძია.  
ძველი დმანისის ახალ სახეთი

მოჩანს წარსული ხანის შრეები  
და ნანგრევები მხნე ჯავახეთის  
მიმობურულან კაკლის ტყეებით.  
თავი საკუთარ სახლში მგონია,  
როს ვხედავ მთებში ჩაფლულ გურიას,  
თვალნათლივ მახსოვს ციხე გონიო,  
ეს მხარე ძალზე მშობლიურია.

5  
რაც აფხაზეთის ზღვისპირეთია,  
მხიბლავს უზადო მშვენიერებით,  
ბუნების მაღლი იქ ისეთია,  
კაცსაც დაჰყვება ნიჭი შენების.  
გამახსენდება დიოსკურია —  
ზღვაში ჩაფლული გოდოლი ცხუმის,  
ყველა აფხაზი კოლხის თურია,  
ეშამ მოსდო მათ ლაღატის ბუმი.  
მეკვლედ აფსუა აურჩევით —  
სხვის ნასუფრალის ფლობას ნაჩვევი,  
ნაღდი აფხაზი მაინც ჩვენია,  
ძმა დაკარგული და მხარნაქცევი.

6  
ბევრჯერ ვყოფილვარ ტყეში  
წყავაშის,<sup>2</sup>  
პირმშოსი მახლდა სიამე შუმი,  
ვარ სიყვარულის ვეება ვალში  
უმშვენიერეს რაჭა-ლეჩხუმის.  
იმერეთში კი გული მიმღერის,  
გამობრწყინდება როცა გელათი,  
მოსხივცისკარე ამერ-იმერის  
სადღეგრძელო მსურს შევსვა  
ხელადით.

7  
ინწრის<sup>3</sup> ჩანჩქერთან პირისპირ  
ვმდგარვარ,  
ტობავარჩხილით ვინამე სახე,  
მე მახსენდება თეთნულდი, შხარა,  
მამულში ბევრი მწვერვალი ვნახე.  
ზეციურ თარიღს ფერები ლუში,  
მინვევდა ხიბლით ბედის მისწობის,  
გადმომყურებდა უშმა პირქუში  
და ძალას მძენდა მარადისობის!

8  
ზეკარას წარმტაც უღელტეხილზე  
და დარიალის კლდეების დაბლაც,  
ამოდოდა ლაღად გულის მზე,  
ძმობის სირჩის სმით ვერ ვგრძნობდი  
დაღლას.  
ფეხქვეშ მეფინა ფარსაგ ნატივით  
ზნაური, ჯავა, ავნე — ცხინვალი,  
ვარ განწყობილი ახლაც  
ნატერისთვის —  
ჟამთა სრბოლაში ჩვენს ერთად  
ყოფნას,  
ნანინანატრიც ხომ ახლდა ხანი,  
თბილი წარსულის უარყოფითა  
მტრობას არ მივცეთ რამ გასაქანი.

9  
ხასი, საამოდ ზურმუხტისებრი  
დიდებულებით ბრწყინავს მთა-ველი,  
მზიური ქვეყნის ტურფა იერი  
მგვრის სიამაყეს: მე ვარ ქართველი!  
— ვინაც იცავდა, — დღესაც მხნედ  
იცავს

უშქარ საუნჯეს ქართული მინის,  
ვინაც მამულის დიად მზეს ფიცავს,  
მისი ერთგული დარჩება მინყივ  
და სანუთროში ელტვის უმაღლეს  
ღირსების მცნებას, — სიყვარულს  
მოყვრის,  
ვაჟკაცურს გზნებით ვის გულს  
ულაღებს  
ბალადა ვეფხვის და გმირი მოყმის.  
ვინაც ნადილობს ხშირად იხილოს  
ჩამობინდული მთები ლაზეთის,  
ვისთვის ძმა არის ჰერი, ინგილო,  
მშობლიურია ტაო-კლარჯეთი.  
ახსოვს; ლომკაცთა კვერეს მიზანი,  
ცისარტყელას ქვეშ სცადეს

უკან რჩებოდათ ფერეიდანია,<sup>4</sup>  
წინ თავდადების იყო გამოცდა.  
სიკვდილი უჯობს უცხოთ ტყვეობას,  
ვისიც მცხუნვარებს გმირული სული,  
მედგარ ქართველთა მალალ ზნეობას,  
ავბედთან ბრძოლას ჰყვება წარსული.

10  
დიდ საქართველოს ყველა კუთხეში  
რეპორტიორის კალმით ვიარე,  
ვერ ვძლებ ქალაქის სმოგის გუბეში,  
სოფლად ვიშუშებ წყლულს  
და იარებს...

ყველგან შემომხვდა მოძმე ქართველი.  
სინდის-ნამუსი რომ აბარია,  
ვისაც სულ უდგას სიკეთის რთველი,  
ვინაც ქვეყნისთვის გამწე ხარია.  
შევიტკბე, ვლოცე და მასპინძლობის  
მაღლი ვუდიდე სიტყვაფხიანებს,  
ტყვე ვარ იმათი ნატივ ზრდილობის,  
თოთო სტრიქონებს რაც მიმზიანებს.  
წანილი როა საქართველოსი,  
მის მკვიდრთ ვუნოდებ ძმას და  
მეგობარს,  
უდრეკად გამტანთ ბედის ლელოსი  
ქართველთ მტერ-მოყვრის ძალუძთ  
შეცნობა.  
დუშმანთან ჰგვანან ხანჯალს  
ალესილს,  
ვიჯერებ: ადრეც მხნენი  
ყოფილვართ,  
აღმოსავლეთი და დასავლეთი  
გულში არასდროს არ გაყოფილა!

11  
ჟამთბრუნვა, დროში არსით წრიული,  
ვერ ახდენს ღვთიურ რწმენის  
აღრევას,

12  
ცას ებჯინება სვეტიცხოველი,  
უფრო მალლიდან დაგვეყურებს ჯვარი,  
აქ ქრისტეს მოსვლას მრევლი მოელის  
სულთამოფენის წკრიალა ზარით.  
ჩაუნჯებული ფოლიანტები  
ამხელს დიდ სიბრძნეს რაინდი ერის  
და ჩუქურთმები ძველი ტაძრების  
ქართული სულის დიდებას მღერის.

13  
ისევ ბრწყინვალეს აქ ისტორია —  
ერწყმის მშვენიერ დედაბუნებას,  
ახლაც, ამიტომ არც თუ შორია  
თავისუფლების დიდებულება!  
თავისუფალ ერს სჭირდება სიბრძნე,  
— მგლის მუხლიც, — მტერთან  
ჯიქურ კვეთებაც,  
ერისკაცების მედგრობით ვიგრძენ  
გმირული სწრაფვის სულისკვეთება!  
კურთხეულია ის საუკუნე —  
წინ გვისახავდა უდიდეს მიზანს  
და გამოვსტაცეთ მაშინ უკუნეთს,  
— ბოროტ მომხდურს და შინაურ  
ხიზანს

15  
მაგრამ გვეკვეთა კვლავ ბოროტება,  
როცა მომძლავრდნენ ცრუ  
დემოკრატიი,  
ვერავ შინამტრის აბობოქრებამ  
უფრო გვიმრავლა უმსგავსო აქტივი.  
ცუდად დაიწყო ოცდამეერთეც —  
ცის კაბადონი ზოგჯერ ბინდდება,  
მაგრამ სამშობლოს მალალ ქედებზე,  
მჯერა, ნათელი გადმობრწყინდება!

16  
ჩემს სამშობლოში გარს მახვევია  
სალოცავები რაოდენ წმინდა  
და სათაყვანო ისე ბევრია,  
სიკვდილ-სიცოცხლე მხოლოდ  
აქ მინდა!

VII. 04.

1. ლაკადა — მთიანი სამეგრელო.
2. წყავაში — ტყენაკრძალი ნალენჯინაში.
3. ინწრა — მდ. ჭანისწყლის შენაკადი.
4. თავგანწირულთა ფერეიდანია — ფერეიდნიდან საქართველოში დაბრუნების მსურველთა დაღუპვის ოსტორიული ფაქტი.

# იყო გულითადი, სანდო მეგობარი

ჯემალ მალლაკელიძის უცარი გარდაცვალება ძალზე მოულოდნელი, თავზარდამცემი იყო ბევრი ნაღვლიანი სულითვის. ჩვენს ქალაქში იგი უყვარდათ, როგორც აქ გაზრდილ-დაეუყვაცებულ პიროვნება, — გულისხმიერი სანდო მეგობარი, ამიტომაც მისი სიკვდილი სწრაფად გახმაურდა და რამდენიმე საათში თბილისშიც მომწვდა.

მწარე ფიქრმა გონება ამიფორიაქა, გული ამინვა. შვების მოსაგვრელად გადავწყვიტე ეს პატარა გამოსამშვიდობებელი წერილი დამეწერა.



ჯემალ მალლაკელიძე მეუღლესთან ჩიტო ქირიასთან ერთად.

ჯემალის ბავშვობა-ყრმობამ ჩემს თვალწინ ჩაიარა; მესამე თუ მეოთხე კლასში გადმოვიდა ზუგდიდიდან ნაღვლიანი სასწავლებლად და მაშინვე ყურადღება მიიპყრო, როგორც კარგმა მოსწავლემ, — თანატოლთა შორის ყველაზე მოხდენილად ჩაცმულმა ყმანვილმა, — თავისებურად ფიცხმა, მაგრამ მრავალი შესანიშნავი თვისებით შემკულმა. მაშინ დაწყებული ჩვენი მეგობრობა ბოლომდე გაგრძელდა.

— თხემით ტერფამდე რაინდული სულით დამუხტული, ახალგაზრდობაში ჟრუნტელის მომგვრელი ფხიანობით ქართულის მოცეკვავე, საშუალო ასაკში — სანაქებო თავკაცი, ჭარმაგობაში — ლაზათიანი სტუმარ-მასპინძლობის ხიბლით შემკული, თავისი ქვეყნის ღირსეული პატრიოტი, დიდად მოსიყვარულზე მეუღლე, მამა, ბაბუა.

წლეულს, ივლისში, ჩემი 70 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე მესტუმრა მეუღლესთან, ჩიტო ქირიასთან ერთად და მათ, როგორც საუკეთესო თანაკლასლებმა ძვირფასი საჩუქარი მიძღვნეს. ჯემალი გადამხეხა და შემაჯანჯლარა: მაგრამ უნდა იყო! მერე კიდევ ორჯერ შემხვდა ნაღვლიანად, ორივეჯერ სატირალში და რამდენჯერმე ტელეფონით ვისაუბრეთ: ჩემს ჯანმრთელობაზე ზრუნავდა!

სექტემბრის მინურულს ჩვენი შეხვედრა ბოლო გამოდგა. ერთად ვიარეთ და გვერდი-გვერდ დიდხანს ვიდექით.

— ჯემალ, კარგად რომ ვიყო, რაღაც ისეთს მოვიფიქრებდი, ჩვენს ერთად ყოფნას რომ ეკადრება, მაგრამ იძულებული ვარ წავიდე, — მოვუბოდიშე. კარგი, შენი ჭირიმე! მომავალ შეხვედრაზე მე ვიზრუნებ... მუდამ კარგად მენახო!

მეგობრებით გარშემორტყმული დავტოვე. იმ დღესაც, ნაღვლიანობა დიდი მწუხარების გასაზიარებლად იყო ჩამოსული, მეუღლესთან ერთად.

\* \* \*

ბ ა ვ შ ვ ბ ა - ყ რ მ ბ ა ს თ ა ნ დამაკავშირებელი კიდევ ერთი სასიამოდ მყლერი სიმი ჩანყდა გულში, — უკვე აღარ არის გულითადი მეგობარი რომელთან ერთადაც ვისხენებდი ხოლმე უძვირფასეს დღეებს წარსულიდან. ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან!

მჯერა, ღვთიურ ნათელში დაემკვიდრება!


თამაზ ფიფია. 21.X.2012 წ.

სწორად ვამბობ და ახლაც ვიმეორებ, დიახაც მტკივნეულად განვიცდი ასაკით ჩემზე უმცროსი ადამიანების გარდაცვალებას. მით უფრო, როცა იგი შენი სამეგობრო წრის წარმომადგენელია. ჩემდასამწუხაროდ ასეთთა რიცხვი არცთუ ცოტაა.

ვაი, რომ ყველასთვის მოულოდნელად ამასწინათ ჩვენს სამეგობრო ჯგუფს გამოაკლდა შესანიშნავი პიროვნება, თხემით ტერფამდე გულმხურვალე პატრიოტი ბატონი ჯემალ მალლაკელიძე.

წარმოდგენილი მაქვს ჩვენს ჯემალს, დიახაც, ალაფრთოვანებად კოალიცია „ქართული ოცნების“ დიდი უპირატესობით გამარჯვება. თუმცა მოჭარბებულ სიხარულსაც გაძლება უნდა...

დრო სწრაფად მიდიოდა საუბარ-საუბარში. ამასობაში მისეული ტელეფონი ანკრიალდა. ვილაცა გამაღებთ ურეკავდა, მგონი ზაურ გვასალია იყო. ტელეფონი აიღო და ეუბნება: ჩემო ძმაო, აქ წიგნის მალაზიაში ისეთ პიროვნებებთან ვიმყოფები, არაფრით არ შემიძლია ცოტა ხნით მაინც მათთან საუბრით არ ვი-



ჯემალ მალლაკელიძე

## შეხვედრიდან... შეხვედრამდე

ასე მახსოვს, სექტემბრის 25 რიცხვი იყო, წიგნის მალაზიაში დემურ კალანდიასთან შევიარე, აქვე დამხვდა ჯემალი, ორივეს გვესიამოვნა ასეთი უცაბედი შეხვედრა, ჩვეულებრივად გადავკოცნეთ ერთმანეთი. ჯემალი იგონებდა არცთუ დიდი ხნის წინათ თავისი თანაკლასელის და ჩვენი საერთო მეგობრის თამაზ ფიფიას საიუბილეო საღამოს, დიახაც საუკეთესო ღონისძიება იყო, ძალიან ნასიამოვნები და ვერჩითო სხვებთან ერთად მე და ჩემი მეუღლე. ასეთი საღამოს მოწყობისთვის გვემადლიერებოდა თამაზის მეგობრებს.

ჯერო გული. ეჩქარებოდა და მაინც ჩვენი დატოვება ენანებოდა. ასე დავეშორეთ ერთმანეთს.

გულწრფელად ვამბობ, მე იშვიათად შემხვედრია ნაღვლიანი-დან საცხოვრებლად სხვაგან გადასული კაცი, რომელიც ნაღვლიან-ჯიხასა და ნაღვლიანობებზე ასე უნაპიროდ ყოფილიყო შეყვარებული, ნაღვლიანობა ჭირისა და ლხინის მასავით გაზიარება შეძლებოდა.

ჯემალ მალლაკელიძეს ადრინდანივე ცნობდა, მაგრამ ეროვნული მოძრაობის აბოპოქრების შემდეგ უფრო დაეუახლოვდა ერთიმეორეს. იგი ხომ ეროვნული ხელისუფლებისა და თავად ზვიად გამსახურდიას თავგამოდებული მომხრე გახლდათ. მეც ხშირად მინახავს ხალხმრავალ მიტინგებზე, სადაც აშკარად გამოხატავდა თავის პოზიციას.

ძნელია იმ რეალობასთან შეგუება, რომ ამიერიდან იგი ცოცხალთა შორის ვერ ივლის. პირადად მე ჯემალ მალლაკელიძე პატრიოტ ადამიანთა პირველ რიგებში მეგულებოდა. ფიზიკურად და


სულიერად ასე ჰარმონიულად სრულქმნილი პიროვნებიდან ისეთი ღვთიური მადლი გადმოდიოდა, რომ შეხვედრიდან შეხვედრამდე თითქმის არ მინელდებოდა. ალბათ ასე იყვნენ მისი უახლოესი მეგობრებიც.

ასეთი საუკეთესო ვაჟაკის არყოფნა ძნელი შესაგუებელი იქნება მისი საყვარელი ცოლ-შვილისთვის, უფრო მეტად მაინც მეუღლისთვის, ქალბატონ ჩიტოსთვის, რამეთუ ორთავეს სიყმანვილის დროიდან, სკოლის მერხიდან მოყოლებული უებრო სიყვარული ასულდგმულედათ.

რა თქმა უნდა ჯემალის ახლო ნათესავებისთვის, მეგობრებისთვისაც სამძიმოა მისი უდროო და მოულოდნელი გარდაცვალება. ასევე სამძიმოა ჩემთვისაც იმაზე გაფიქრება, რომ ამ ცისქვეშეთში ვერასოდეს შეხვედებით ერთიმეორეს. რა გაენწყობა, მაინც მომავალ შეხვედრამდე, ბატონო ჯემალ!

რინოს კვარაცხელია. 2012 წ.

## სულით კლიერი



ომარ (ბულათია) კვარაცხელია, ჩვენი საყვარელი ძმა და მეგობარი, მიმდინარე წლის 13 აპრილს მოულოდნელად გამოგვეცალა ხელიდან... უკურნებელმა სენმა ნავგართვა ჩვენი ბულათია.

დაიბადა 1955 წლის 3 ივლისს ჩხორონყუს რაიონის სოფელ ჯუშითში. სწავლობდა ხაბუმესა და ნაღვლიანობის საშუალო სკოლებში.

21 წლის ასაკში მუშაობდა დინყო რაიონულ მილიციაში, სერჟანტის წოდებით. კრიტიკულ სიტუაციებში ყოველთვის სიმტკიცესა და ხასიათს ავლენდა...

შექმნა დიდებული ოჯახი... იყო უღალატო და მოყვასის მოყვარული...

გასული საუკუნის მინურულს, როცა სამშობლოს მიძიმე ჟამი დაუდგა, როცა შავი ღრუბლები შეიკრიბნენ მის ცაზე, ომარმა სწორი პოზიცია დაიკავა. ჩაენერა ეროვნულ გვარდიაში და „მხედრონიის“ ბანდების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება. იბრძოდა აბაშაში, სენაკში, ჩხორონყუში,

ზუგდიდში... სწორედ იმ წლებში განსაკუთრებით გამოვლინდა სულის სიძლიერე ომარ კვარაცხელიას... ნაღვლიანობის ბატალიონი, რომელშიც იგი ირიცხებოდა, იბრძოდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ბატალიონი 50-60 მებრძოლისაგან შედგებოდა. ნაღვლიანობის ბატალიონის წევრებმა, ჩხორონყულებთან ერთად, განსაკუთრებით თავი ისახელეს ტამიშთან ბრძოლებში. ეს იყო ნამდვილი გმირობა, მტრის დესანტი, რომელიც ტამიშთან ჩამოსხეს, განადგურებულ იქნა. საკუთარი წვლილი ამ ბრძოლაში ბულათიამაც შეიტანა... ასევე მონაწილეობდა კელასურთან, სოხუმთან, კოჩარასთან, აჩადრასთან გამართულ ბრძოლებში...

ბულათიას თანამებრძოლები ერთ ასეთ ეპიზოდს იხსენებენ მისი ცხოვრებიდან: გაუგონარი ღალატის გამო სამაჩაბლო ცეცხლის ალშია გახვეული... ცხინვალის მისადგომებთან განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა. დახმარება სჭირდება ჩვენს მებრძოლებს...

კონფლიქტის ზონას უახლოვდება ავტობუსი, რომელ-

შიც ორმოცამდე შეიარაღებული მებრძოლი იმყოფება. ამ დროს მონინალმდევე ტყვიებს ისერის ავტობუსის მიმართულებით, რომელიც ყირავდება და ცეცხლის ალში ეხვევა... სწორედ აქ გამოვლინდა კიდევ ერთხელ ბულათიას სულის სიმტკიცე, კრიტიკულ სიტუაციაში იგი არ დაიბნა, ჩამსხვრია ავტობუსის მინა, სწრაფად გამოძვრა იქიდან და სრულიად უშოშრად, საპასუხო ცეცხლის გახსნით მონინალმდევე „დააღუმა“, რითაც ისინა თანამებრძოლთა სიცოცხლე აშკარა განსაცდელისაგან... ყველა მებრძოლი იმ დღეს გადარჩა და მტრის შეტევა წარმატებით იქნა მოგერიებული...

ახლა კი, ბულათიამ უდროო გარდაცვალებით, ჩვენ სადარდებელი და ტკივილი დავგიტოვა... მას უკვე მშვიდად სძინავს უძველესი კოლხეთის მინაზე, წინაპართა გვერდით. ჩვენ კი მის ხსონას დავიწყებას არ მივცემთ, ყოველთვის მოვეფერებით მის ოჯახს და წმინდა საფლავზე მუდამ თაფლის სანთელს ავანთებთ!

თანამებრძოლები.

## ნოვოზუნი

რედაქტორი — ვალერი ძაძაძია

„ნოვოზუნი“ მისამართი: ნაღვლიანობა — ობუჯი ლეო ქიაჩელის №37. ტელ: 790 16-96-22; 790 87 83 94

გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

ანყობა და დაკაბადონება — თია მიშვილია ტელ: 555 49-22-07